ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე სამშაბათს. №5 (1793) 11-24 მარტი 2003

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი



**ჯაბა იოსელიანი:** „შევარდნაძე პოპულისტურ ტალღას რომ არ აჰყოლოდა, ჩვენ ამ დღეში არ ჩავვარდებოდით“

მე-8 გვ.

## საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

„... 3. მოხდა შეთანხმება აფხაზეთის გავლით სარკინიგზო კავშირის აღდგენაზე რუსეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის. ეს პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ

ა) საქართველო თმობს იმ ერთადერთ ბერკეტს, რომელიც მას აქვს რუსეთზე ზემოქმედებისათვის აფხაზეთის ვითარებასთან მიმართებაში.

ბ) ერაყის ომის წინადღით იხსნება მაგისტრალი სამხრეთისკენ რუსული სამხედრო ტვირთების გატარებისათვის ერაყის მისამართით.

შევარდნაძის ზემოხსენებულ ნაბიჯებს საქართველოს სახალხო ფრონტი რაცხს

ა) საქართველოს მორიგ ღალატად

ბ) დემოკრატიული დასავლეთის ღალატად, რომელიც დღეს მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობისთვის იბრძვის.“



## ვინ მართავს პუტინის აზრს?

(მდგომარეობა გაეროში კენჭისყრის წინ)

მე-3 გვ.

## რატომ დაიღუპა „კოლუმბია“?

(ბრიტანული ჟურნალი ამერიკული ტრაგედიის შესახებ)



მე-3 გვ.

## ირონიულია, რომ შევარდნაძე, რომელსაც ქართულ მიწაზე არძინბები და კოკოევები ჰყავს გაპარპაშებული, სადამ ჰუსეინს ემუქრებოდეს და მსოფლიოში წესრიგის დამყარებაზე ზრუნავდეს!

მე-6 გვ.






ვ. ნ. შონია

## და მაინც, ვინ იყო ბერია?

მე-7 გვ.



საქართველო

# „ბუში ბაღდადიდან მოვაო". მოვა თუ არა რაკეტაც?

## ინტერვიუ ნოდარ ნათაძესთან

**— ბატონო ნოდარ, დღეს ყველაზე აქტუალური თემაა ხელფასების მომატება 115 ლარამდე. რა აზრისა ხართ ამ მოვლენაზე?**

— აქტუალური არა, პოპულარული. უფრო აქტუალური თემებიც არსებობს. ჟვანიას „პროექტი" არა მხოლოდ არარეალისტურია, არამედ უაზროც. ხელფასების მომატება ეკონომიკის აუმუშავებლად ან ვერ შედგება, ან კატასტროფულ უკუშედეგებს მოგვცემს. უფრო მოსალოდნელია, რომ ვერ შედგება. თუ შედგება — ვთქვათ, ფულის ნიშნების დაბეჭდვით და დარიგებით, — მისი უკუშედეგი იქნება ინფლაცია, თუ იგი შედგება ვთქვათ, რკინიგზის, ფოთისა და ბათუმის პორტების, მიწის მასივების გაყიდვით, ეს იქნება ცნობილი ხალხური სიბრძნის რეალიზაცია, რომელიც ლექსშია გამოხატული:

„ღმერთმა მოგცა ბატის ტვინი, ინდაურის გონება,

ერთ კვირაში შეგაჭამა მამაშენის ქონება".

მოგახსენებთ ფრჩხილებში, რომ ობიექტების პრივატიზაცია და, მით უმეტეს, გაყიდვა ბიუჯეტის მიმდინარე საჭიროებათა სამსახურისათვის საერთოდ დაუშვებელია: ეს მძიმე ოპერაცია მხოლოდ ახალ სტრატეგიულ ეკონომიკურ გზათა გასაკვალავად იხმარება. ხელფასის გაზრდა ჟვანიას და მის ამფსონებს მხოლოდ ერთი გზით შეუძლიათ: თუ წინა წლების ნაქურდალს შინიდან მოიტანენ და სახელმწიფოს შემოსწირავენ, მაგრამ შარშანდელი ნაქურდალის წელს მოტანა მათ, მოგეხსენებათ, არ უყვართ.

**— როგორც ჩანს, თქვენ ამ ახალგაზრდა გუნდის დიდი პატივისმცემელი არა ხართ.**

— ეს „გუნდი" ალარც ისე ახალგაზრდაა, მაგრამ ასაკის არაპროპორციულად გაიძვერაა. არ დაგავიწყდეთ, იგი თანამონაწილეა ყველა სახელმწიფო ღალატისა, რომელიც შევარდნაძეს ჩადენილი აქვს სოხუმის დაცემის აქეთ, მათ შორის „ესენგეში" შეთრევისაც. მათ საქართველოს „ესენგეში" შესვლისათვის ხმა აქვთ მიცემული 1994 წელს. მაგრამ გავაგრძელოთ ჩვენი თემა. ხელფასების მომატებას არ ეყოფა იმ 30 მილიონი ლარის დაზოგვა, რომელიც მთავრობამ დაუკონკრეტებლად „მიიყუჩა" ბიუჯეტში თავისი ჯიბისთვის ან არჩევნების კიდევ ერთხელ გაყალბებისათვის. ამას სჭირდება, პირველ ყოვლისა, ეკონომიკის გაცოცხლება, შემდეგ — გადასახადების რეალური აკრება, შემდეგ კორუფციის რეალურად დათრგუნვა, კონტრაბანდულის ჩათვლით და ბევრი რამ სხვა. რეზო შავიშვილი, მოგეხსენებათ, დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დინჯი, პატიოსანი და რეალისტურად მოაზროვნე კაცია. მის აზრს მოგახსენებთ: დღევანდელი მახინჯი საგადასახადო სისტემის პირობებშიც კი — სისტემისა, რომლის შემოღებაში ჟვანიას და მის გუნდს, მართალია, ჭირიანი ლომების, მაგრამ მაინც ლომების წილი უდევთ — წელიწადში ორი მილიარდიდან სამ მილიარდამდე ლარის ამოღება თავისუფლად შეიძლებაო. როგორ შეიძლება, ანუ რა და რა სვლებით და რა კონტროლის წყალობით შეიძლება, ეს, დამერწმუნეთ, შავიშვილმა კარგად იცის. ვერც საგადასახადო სისტემის შეცვლაზე, ვერც გადასახადების ამკრები მოხელეების შეცვლაზე ჟვანია, ცხადია, ვერ ილაპარაკებს. პირველისთვის ცოდნა არ ეყოფა, მეორე მისი თანამოსაქმე- — მონკავშირელებისაგან შედგება და მისთვის ხელშეუხებელია. ჯორბენაძესთან დისკუსიაში მას ორი კოზირი აქვს — ერთი ის, რომ ეკრანზე ლაპარაკს არ აცლის, მეორე ის, რომ ჯორბენაძე დღეს შევარდნაძის გუნდშია და ამიტომ, როგორც იტყვიან, პირი წყლით უნდა ჰქონდეს სავსე.

**— ე. ი. თქვენ ფიქრობთ, რომ მინიმალური ხელფასების 115 ლარამდე გაზრდის გეგმა პირწმინდა პოპულისტური ბლეფია?**

— ეს არის უსვინდისოთა ხრიკი უტვინოთა მოსატყუებლად. სამწუხაროდ ასეა. ხელფასების გაზრდა საქართველოს შეუძლია მრავალკეცად, მაგრამ არა ამ გზით, არამედ, ვიმეორებ, ეკონომიკის გაცოცხლების გზით, მაგრამ სასაცილო სხვა რამეა: შევარდნაძის მხრიდან ამ კანონს შეიძლება ვეტო ვერც დაედოს და არც დაედოს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ პოპულისტური შოუს ერთი უცვლელი მონაწილე თვითონ შევარდნაძეცაა, არამედ იმიტომაც, რომ შევარდნაძე და მისი ყოფილი ლეკვები მოჩვენებით ოპოზიციობანაში არიან, და არა ნამდვილში. მოგიყვანთ ანალოგიას. შევარდნაძის პირველი გამონაყოფია რჩეულიშვილი თავისი ბრიყვი „პარტიითურთ", რომელსაც შევარდნაძემ თავი აგინებინა. მაგრამ გაჭირვება რომ დაუდგა, კვლავ თავის ორგანიზმში დააბრუნა და საარჩევნო მოკავშირედ გაიხადა. მინიმალური ხელფასის გაზრდის პრობლემასთან დაკავშირებით შევარდნაძისა და ჟვანიას გუნდის „დაპირისპირებასაც", ჩემის აზრით, ასეთივე მექანიზმი აქვს: თუ შევარდნაძემ ვეტო ჰრ დაადო ხელფასის მომატების კანონს, მაშინ საქართველოში მკვეთრი მაკროეკონომიკური ჩავარდნა მოხდება და შევარდნაძე „ხელებდაბანილი" გააგრძელებს საქართველოს „ვერშემდგარ სახელმწიფოდ" გადაქცევის რუსულ პროგრამას. ჟვანია იქნება ის ხურდა ფული, რომელიც ამ ოპერაციაში დაიხარჯება. ხოლო თუ შევარდნაძემ კანონს ვეტო დაადო, ამით ჟვანია პოპულარობას მოიპოვებს ჩაუხედავი მასის თვალში, „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევსო", ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩაითვლება, ეს წართმევა-მიცემა მას „არ დააცალესო". რუსულ პროგრამას ასეთ შემთხვევაში გუნდის უმცროსი წევრი, ჟვანია და არა უფროსი წევრი — შევარდნაძე — გააგრძელებს.

**— არც ერაყის თემა მიგაჩნიათ აქტუალურად?**

— პირიქით. იგი უაქტუალურესია, რადგან უშუალოდ საქართველოს ეხება. შევარდნაძის კომკავშირული მეტიჩრობა, ერაყთან საომრად რომ მიიწევს საქართველოს ხარჯზე, მხოლოდ მოუფიქრებლობისგან არ წარმოდგება. ვშიშობ, რომ მას უფრო დიდი მიზეზი და უფრო საშიში შესაძლო შედეგი აქვს. სადამ ჰუსეინს რომ არც ბირთვული იარაღის შექმნა შეუძლია, არც ქიმიურისა და არც ბაქტერიოლოგიურის, ეს, მე მგონი, სადავო არ უნდა იყოს. ჰუსეინი საშიშია არა როგორც შემქმნელი იარაღის, არამედ როგორც რუსული იარაღის აბრა, ფირნიში. უფრო მეტად კი იგი საშიშია, როგორც რუსული შესაძლო ქმედების ფირნიში. მისი იარაღი რომ რუსულია, ეს, ასე ვთქვათ, ნახევრად „ზრდილობიანი" თემაა და მასზე ლაპარაკი ოფიციალურ პირს შეუძლია, თუკი მოისურვა. მაგრამ რუსეთმა რომ „გაბრაზებული" სადამ ჰუსეინის ფიგურა შეიძლება აბრად გამოიყენოს იმისთვის, რომ მისი სახელით თვითონ ჩაიდინოს სამხედრო, დივერსიული თუ ტერორისტული დანაშაული, ეს უაღრესად „უზრდელური" თემაა, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის ოფიციალური პირისთვის ალკვეთილია. ახლა რიტორიკული კითხვით მოგმართავთ: რომელია დედამიწის ის წერტილი, სადაც რუსეთს ყველაზე მეტად სჭირდება დარტყმის მიყენება აკრძალული ხერხით? ესაა საქართველო, რომელიც რადიაციულ ან ქიმიურ უდაბნოდ, ან, უკეთეს შემთხვევაში, ბაქტერიოლოგიურად ინფიცირებულ ზონად უნდა იქნას გადაქცეული იმ მიზნით, რომ შუა აზიისაკენ დასავლეთის მსვლელობა შეაჩეროს. რადგან დღეს დასავლეთის და, პირველ ყოვლისა, აშშ-ის მსოფლიო წონისა და როლის ბედი სწორედ შუა აზიაში წყდება. მოგეხსენებათ: თუ შუა აზია, რომელიც ევრაზიაში შესაძლებელი ყველა დიდი ომის ბუნებრივი ზურგია, თავისი უზარმაზარი რესურსებით, კვლავ ყოფილი „სოციალისტური ბლოკის" სივრცეში მოექცა, ამით შესაძლებელი ხდება ამ ყოფილი ბლოკის რეალური მეტოქეობა დასავლეთთან ან თუნდაც მხოლოდ აშშ-სთან და, ამგვარად, ჩნდება ამ ბლოკის ყოფილ წევრთა შორის ახალი სამხედრო ალიანსის შეკვრის ცდუნებაც, რომელიც 1952-1953 წლებში კორეის ომში განცდილმა ერთობლივმა დამარცხებამ დაშალა. ამიტომ მე ეჭვი მაქვს, უფრო მეტიც, — ვვარაუდობ, რომ შევარდნაძის ეს „ზედმეტი ინიციატივა" — ხაზს ვუსვამ, ინიციატივა, რომელიც ამერიკელებს არაფრად არ სჭირდებათ გამარჯვებისათვის — რუსული დავალების შესრულებაა. ეს არის ერთობლივი რუსულ-შევარდნაძისეული ოპერაცია საქართველოსათვის „ერაყის" ნიღბით გამანადგურებელი დარტყმის მიყენების მიზნით. ნუ გავიწყდებათ, რომ ჩინეთი დღეს ის აღარაა, რაც 1953 წელს იყო. იგი სწრაფად მზარდი გიგანტია. წლიური ეკონომიკური ზრდა მას 8% აქვს. თუ ასე გაგრძელდა, 2020 წელს მისი ეკონომიკა აშშ-ს დღევანდელ ეკონომიკას გაუტოლდება თავისი მოცულობით.

**— ძალიან ძნელი დასაჯერებელია სუბიექტურად. ვაჟაფშაველასი არ იყოს, კითხვა ჩნდება:**

**„ეგრე მუხთალი ღალატი?! ეგრე ულმერთოდ ტყუება?!"**

**თუ გახსოვთ, ეს სიტყვები „ბახტრიონიდან" არის.**

— დიახ, სუბიექტურად ამის რწმუნება მეც მიჭირს. მაგრამ ლოგიკას თავისი ძალა აქვს. მოგიყვანთ კიდევ ანალოგიას, რომელზეც უკვე გვქონია საუბარი ადრე. 2001 წლის აგვისტოში გილაევის რაზმი პანკისიდან აფხაზეთში გადაიყვანეს ავტობუსებით. თან „რუსთავი-2"-ის საშუალებით მაქსიმალურად გაახმაურეს ეს სამხედრო საიდუმლოება, ისევე როგორც არაერთი სხვა. თუმცა, როგორც იტყვიან, „ენაზე არავინ ეწეოდა", საქართველოს ჭალარა პრეზიდენტიც მაშინ „დაეთანხმა" ამ ყელის გამომჭრელ ინფორმაციას (რა ვუყოთ, ტყუილის თქმას, ეტყობა, მისი ორგანიზმი ვერ იტანს!). თან გაშალეს უზომო საპროპაგანდო კამპანია, გილაევი თავისი 600 კაცით ხვალ სოჭს დაიკავებს კბილებამდე შეიარაღებულ მეზობელ ქვეყანაში და ზეგ — ტუაფსესო. ამ დროს მწიფდებოდა 11 სექტემბრის ტერაქტი და რუსეთის სპეცსამსახურებმა, რომელთაც ინფორმაცია, ალბათ, არ აკლიათ, სწორად გათვალეს, ამერიკელებს აზიაში ომი ექნებათ და, „იმედია", ავღანეთში ისევე ჩაეფლობიან დიდი ხნით, როგორც ჩვენ ჩავეფალითო. აი, ამ „ტაიმაუტის" პერიოდისათვის უმზადებდნენ რუსეთს საბაბს ღია სამხედრო დარტყმისათვის საქართველოზე. მაგრამ ამერიკელები ავღანეთში არ ჩაეფლნენ. პირიქით, ომი მალე დაამთავრეს მოგებით და 24 სექტემბერსვე ოფიციალურად განაცხადეს, რუსეთის აგრესიის შემთხვევაში „საქართველოს დავიცავთო". დიახ, დავიცავთო. რუსეთ-შევარდნაძის ოპერაცია ჩავარდა, საქართველო გადარჩა და გილაევი მშვიდობიანად დაბრუნდა პანკისში. ახლა ამ ოპერაციის გართულებული და დამძიმებული ვარიანტი მზადდება შევარდნაძის „მეტიჩრობის" ნიღბით. აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ ერთი კარგად დამიზნებული „ერაყული" რაკეტა სომხეთის ატომური ელსადგურის სახურავში ჩაერჭო! სომხეთი განწყდება, მაგრამ მომავალში შეივსება, რადგან სომხებს დიდი დიასპორა ჰყავთ. აზერბაიჯანიც განწყდება, მაგრამ ისიც შეივსება თურქული მოდგმის ახალი მოსახლეობით. საქართველოს კი დიასპორა არ ჰყავს და იგი ვერავისით შეივსება უცხო ხალხით. [illegible] ხედავთ, სადაა შეთქმულება საქართველოს ისტორიის დასამთავრებლად? ესეც თქვენ მიერ ნახსენები „მუხთალი ღალატი" და „ულმერთოდ ტყუება". მეთანხმებით?

**— გმადლობთ საუბრისათვის.**

— მაპატიეთ, ერთსაც დავძენ. შეერთებული შტატები დღეს ის ერთადერთი ძალაა, რომელიც საქართველოს რუსეთის პირდაპირი ღია დარტყმისაგან იცავს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს არ შეუძლია არ ჩაებას იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ამ სუპერძალის გამარჯვებისათვის ამ რეგიონში. მაგრამ ასეთი აუცილებლობა არ არსებობს. გარდა ამისა: საქართველოს ხელისუფლებას არა აქვს უფლება, საქართველო დაუცველი დატოვოს მხოლოდ ამერიკელების იმედზე. საჭიროა, ჯერ ერთი, საკუთარი შეიარაღებული ძალის შექმნა, რისი შესაძლებლობაც საქართველოს აქვს, ოღონდ არა დღევანდელი მოღალატე და კორუმპირებული ხელისუფლების ხელში. მეორეც, საქართველოს შეუძლია თავის დაცვა პოლიტიკური გზითაც, სახელდობრ, საერთაშორისო საზოგადოებრიობის და საერთაშორისო ორგანიზაციების მუდმივი ინფორმირებით იმაზე, რომ საქართველო რუსეთის პირდაპირი დარტყმის საშიშროების წინაშე დგას.

რუსეთი დღეს დაქვეითებულია, საქართველო იურიდიულად დამოუკიდებელია. ამიტომ რუსეთს დღეს აღარ შეუძლია მსოფლიო აზრის ფეხებზე დაკიდება ახალ ღია აგრესიაზე წასვლით. ეს გზა — საკუთარი თუნდაც მცირე რეალური შეიარაღებული ძალის შექმნა და ამავე დროს მსოფლიო საზოგადოებრიობის მუდმივი ინფორმირება აგრესიის საშიშროებაზე — დაცვის მეორე, დამატებითი საშუალებაა ჩვენი ქვეყნისთვის. მაგრამ ერთგული ხელისუფლება ვალდებულია ეს საშუალებაც გამოყენებული ჰქონდეს.

**— ლოგიკურია. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ლოგიკურია, კითხვა დგება: ამ, პრინციპში, ამოცნობად მრავალსვლიან კომბინაციას, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგაა მიმართული, არამედ დასავლეთის წინააღმდეგაც, რუსეთი ხომ არ „თამაშობს", ანუ ხომ არ სიმულანტობს იმ მიზნით, რომ დასავლეთს დათმობები გამოსძალოს?**

— მართალი ბრძანდებით. ეს ყოველთვის უნდა ვივარაუდოთ. ღმერთმა ქნას, ასე იყოს! მაგრამ ყოველთვის უმჯობესია უარესი ვივარაუდოთ და მზად ვიყოთ, ვიდრე, პირიქით, უკეთესი ვივარაუდოთ და მოულოდნელად უარესი მოხდეს.

**მანანა ლოგუაშვილი**

# საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

შევარდნაძისა და პუტინის მოლაპარაკება დახურულ კარს მიღმა (8.III.2003 წ.), რომლის შესახებაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ საქართველოს ტელევიზიაში გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, შეიცავს სამ მნიშვნელოვან მომენტს.

1. ისევე, როგორც ყველა მანამდელ მოლაპარაკებაში შევარდნაძის ხელისუფლებასა და რუსეთს შორის, რომელიც ეხება აფხაზეთის ვითარებას, არძინბას დანაშაულებრივი ჯგუფი ფიგურირებს როგორც მხარე, რომლის თანხმობა საჭიროა ყველა სახის შეთანხმების მისაღწევად და არა მხოლოდ დაზავების ტიპის შეთანხმებებისა, რომლებშიც, მათი პრაქტიკული და დროებითი ხასიათის გამო, მიღებულია რაგინდარა დანაშაულებრივი ჯგუფის მონაწილეობის დაშვება. ამით ხელი ეწყობა საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მიერ იმის დავიწყებას ან უგულებელყოფას, რომ არძინბა და მისი ჯგუფი არიან გენოციდის ჩამტარებელი კრიმინალური ხროვა და რომ ვერც მათი, ვერც მათი მომხრეების ნება, თუნდ ამ მომხრეებს მთელი აფსუა (აფხაზი) ხალხი შეადგენდეს, ვერ იქნება გადაულახავი დაბრკოლება აფხაზეთის ვითარების სამართლიანი დარეგულირებისათვის მისი გენოციდამდელი ქართველი მოსახლეობის, ამჟამად დევნილის, ინტერესთა გათვალისწინებით.

2. მოხდა შეთანხმება ქართველი დევნილი მოსახლეობის თანდათანობითსა და ნაწილობრივ დაბრუნებაზე ისეთ პირობებში, როცა რეალურ ძალას შესაბამის ტერიტორიაზე წარმოადგენენ მხოლოდ რუსეთის „მშვიდობისმყოფელები" და აფსუური (აფხაზური) პოლიცია. როგორც გვიჩვენა ათი წლის პრაქტიკამ (სახელდობრ, გალის რაიონში ორი ათასამდე მშვიდობიანი ქართველი მოსახლის დახვრეტამ 1993 წლიდან დღემდე), ეს ის პირობებია, რომელშიც ქართველ მოსახლეობას თითქმის ასპროცენტიანი ალბათობით ელის ძალადობა და მასობრივი მსხვერპლი.

3. მოხდა შეთანხმება აფხაზეთის გავლით სარკინიგზო კავშირის აღდგენაზე რუსეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის. ეს პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ

ა) საქართველო თმობს იმ ერთადერთ ბერკეტს, რომელიც მას აქვს რუსეთზე ზემოქმედებისათვის აფხაზეთის ვითარებასთან მიმართებაში.

ბ) ერაყის ომის წინადღით იხსნება მაგისტრალი სამხრეთისკენ რუსული სამხედრო ტვირთების გატარებისათვის ერაყის მისამართით.

შევარდნაძის ზემოხსენებულ ნაბიჯებს საქართველოს სახალხო ფრონტი რაცხს

ა) საქართველოს მორიგ ღალატად

ბ) დემოკრატიული დასავლეთის ღალატად, რომელიც დღეს მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობისთვის იბრძვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ მართავს პუტინის აზრს?

## (მდგომარეობა გაეროში კენჭისყრის წინ)

ასეთი კითხვის გაჩენის მიზეზია პუტინის დღემდე გაკეთებული განცხადებების წინააღმდეგობრივი მიმართულება, კერძოდ და განსაკუთრებით — ერაყის საკითხზე. მისი პოზიცია ხან ამერიკულად „ქორულია", ანუ იგი მხარდაჭერას უცხადებს ამერიკელთა მკაცრ მიდგომას „დამნაშავე" რეჟიმისადმი, ხან „მტრედულია", ანუ ევროპელთა დღევანდელი მშვიდობიანი პოზიციის სასარგებლოდ მიმართული. ამიტომ, „ფაინენშელ ტაიმსის" ცნობით, ამერიკელთა მოსკოვურ საელჩოში დიპლომატები იკრიბებიან და საათობით მსჯელობენ, „ცივი ომის" დროინდელივით, „კრემლოლოგიის" თემებზე, ანუ იმაზე, რუსეთის ხელისუფლების მმართველ ჯგუფში ვინ რა ჭკუაზეა, რა გუნებაზეა და ვინ ვისი გავლენის ქვეშაა მოქცეული. თუ, ერთის მხრივ, პუტინი აცხადებს, „თუ საჭიროა", უშიშროების საბჭოში ვეტოს გამოვიყენებთო, როცა საქმე ერაყის საწინააღმდეგო რეზოლუციის მიღებას შეეხებაო, მისი საგარეო საქმეთა მინისტრი ივანოვი, გერმანელებისა და ფრანგებისგან განსხვავებით, ომის მოწინააღმდეგეთა პირველ ხაზზე კი არ დგას, არამედ შედარებით უკან. გარდუვალია, რომ ასეთ დაძაბულ ვითარებაში ამერიკელებსა და რუსებს შორის გარკვეული საუბრები წარმოებდეს, და რუსები ცდილობენ კიდეც ეს შთაბეჭდილება გააძლიერონ, თუნდაც იმიტომ, რომ მათ ინტერესებში არაა იმის გამხელა, რომ ერაყზე დარტყმის მზადების პროცესში ამერიკელებმა უკვე პრინციპულად უგულებელყვეს (დემონსტრაციულად!) არა თუ რუსეთის პოზიცია მომავალი ომისადმი, არამედ ევროპისა და თვით გაეროსიც კი. რუსეთის ყველაზე ეფექტური და პროპაგანდისტულად მომგებიანი როლი ერაყთან მიმართებაში ისაა, რომ მას — როგორც ერაყის ძველ მეგობარს — შესაძლოა, ძალუძს, ჰუსეინთან ქმედითი მოციქულობა იკისროს და დაარწმუნოს იგი, რომ ნება დართოს თავისი სპეციალისტების დამოუკიდებელ დაკითხვას საერთაშორისო ექსპერტთა მიერ (რაც, ალბათ, ომის არდაწყების მიზეზი გახდებოდა). მაგრამ არავის მოსდის აზრად, რუსებს ამ ესოდენ „დამავალდებულებელი" სამსახურის გაწევა სთხოვოს. პუტინის ძირითადი თეზისი ერაყზე მსჯელობისას არის „საერთაშორისო სამართლისადმი" პატივისცემა და ერაყის „რეჟიმის ცვლის" უარყოფა, როგორც თვითმიზნისა, მაგრამ არავისთვისაა საიდუმლო, რომ რუსეთს აინტერესებს აგრეთვე ერაყთან დადებული (და ერაყზე დადებული ემბარგოს გამო ვერმოქმედი) ძალიან მიმზიდველი სანავთობე ხელშეკრულებების რეალიზაცია, ერაყისგან 8 მილიარდი დოლარი ვალის (ამასთან — არცთუ ნაყოფიერი მიზნებისთვის მიცემული ვალის) დაბრუნება და ერაყის აღდგენაში დიდი როლის მიღების პერსპექტივა. მაგრამ აქვს თუ არა რუსეთს ამის მიღწევის შანსი? „ფაინენშელ ტაიმსი" იმოწმებს ამერიკელი მაღალი დიპლომატის სიტყვებს, რომელიც რუსეთის როლად მხოლოდ იმას ახსენებს, რომ იგი მონაწილე იქნება ერაყში მომავალი, პოსტჰუსეინური საერთაშორისო დროებითი ადმინისტრაციის შექმნაში. ეს კი იმდენად ბუნებრივი და, საერთაშორისო „თავაზიანობის" თვალსაზრისით, აუცილებელი ნაბიჯია, რომ მისი გადადება არანაირ რეალურ ანგარიშგაწევაზე არ მეტყველებს. ამ, არსებითად, ფორმალური ჰარმონიის მიღმა — ჰარმონიისა, რომლის დემონსტრაცია ხდება იმის განცხადებით, რომ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობები არ დაიყვანება ერაყის პრობლემამდე — დგას რეალური კითხვა, როგორი იქნება პოლიტიკა ერაყის ნავთობის მიმართ. რუსეთს რომ ხელს არ აძლევს ნავთობის ფასების არანაირი დაქვეითება, ეს ცხადია (რადგან რუსეთი ნავთობის ერთ-ერთი დიდი ექსპორტერია). მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ ნავთობის ფასთა მკვეთრი დაცემისა ამერიკელებსაც ეშინიათ. თუ რატომ ეშინიათ — ამ კითხვის პასუხი კონიუნქტურის რაღაცა არცთუ ადვილად ხელშესახებ ფარულ სიღრმეებში დევს. ფაქტი ისაა, რომ რუსეთი ცდილობს, აჩვენოს მსოფლიოს, რომ ერაყის თემაზე პოზიციათა განსხვავებულობანი, რომელთაც დღეს ვხედავთ, რუსეთისთვის მხოლოდ ტაქ-



ტიკის ელემენტებია და არა პოლიტიკური კურსისა. ამ უკანასკნელს პრიორიტეტულ მიმართულებად ამერიკელებთან სტაბილური ჰარმონიის მიღწევისა და შენარჩუნების სურვილი განსაზღვრავს;

ასეთი გახლავთ „სასტარტო" პოზიციები ერაყის ომის წინ, რომელიც, საფიქრებელია, უსათუოდ მოხდება (მის ფაქტორებზე წინა პუბლიკაციებში გვქონდა უკვე ლაპარაკი) და რომლის წარმოებაც ამერიკელებს გადაწყვეტილი აქვთ თვით გაეროს პოზიციისაგან დამოუკიდებლადაც კი.

# რატომ დაიღუპა „კოლუმბია"?

## (ბრიტანული ჟურნალი ამერიკული ტრაგედიის შესახებ)

ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრაგედიები მოქალაქეებს აერთიანებს — „მსოფლიოს ყველაზე ჭრელი ერი" მათ შედეგად თავს ისე ერთიანად გრძნობს ხოლმე, როგორც პატარა ქალაქის მოსახლეობა. ამერიკული კოსმოსური ხომალდის ეს მეორე კატასტროფა, რომელიც ამ რამდენიმე კვირის წინ მოხდა, გამონაკლისი არაა. პრეზიდენტი ბუშის სიტყვები ამ დამოკიდებულების მკაფიო გამომხატველია: „ამერიკული კოსმოსური პროგრამა უნდა გაგრძელდეს" — თქვა მან. „აღმოჩენათა ძიება ჩვენი არჩევანი არაა. იგი ადამიანის გულში ჩადებული მისწრაფებაა".

„შატლის" (ანუ მაქოს, კოსმოსში მიმსვლელ-მომსვლელი საფრენი აპარატის) პროგრამა „განსაკუთრებით და საამაყოდ ამერიკულ" წამოწყებად აღიქმება. იგი, რა თქმა უნდა, დიადი ტექნიკური მიღწევაა, მაგრამ იგი, პირველ ყოვლისა, „დაკავშირებულია ამერიკელთა დღევანდელ სულისკვეთებასთან". იგი სიამაყის წყაროა იმიტომ, რომ „სხვა ქვეყანათაგან განსხვავებით", ამერიკაში ჯერ კიდევ ცხოველია საზღვრის, — საერთო მიღწევის დღევანდელი ნიშნულის — იდეა და წარმოდგენა, როგორც პრეზიდენტმა რეიგანმა უთხრა თავის ხალხს 1986 წელს. „მომავალი არ ეკუთვნის სუსტი გულის ადამიანებს. იგი ეკუთვნის მამაცებს". შატლი „მეტია, ვიდრე მეცნიერება, მეტია, ვიდრე ეკონომიკა და, შესაძლოა, ვიდრე ლოგიკაც კი", რომელიც, ცხადია, ამ პროგრამის პლუსებისა და მინუსების სკრუპულოზულ აწონ-დაწონას არ დაერიდება. „ადამიანთა გაგზავნა კოსმოსში, არანაკლებ ვიდრე ევერესტზე ასვლა, ეროვნული სიამაყისა და ადამიანური შემართების საგანია. ნაცვლად იმისა, რომ ამ პროგრამის დასასაბუთებლად სხვადასხვა პროზაული არგუმენტები ალაგოს, ნასამ (კოსმოსის ამერიკულმა პროგრამამ) უმჯობესია თამამად დაასახელოს პოეტური მიზანი — ვთქვათ, კაცის გადასმა მარსზე. ადრე თუ გვიან, ამერიკა მივა იქ და ყოველი ჩვენგანისათვის ეს საამაყო იქნება".






სიტყვაძუნწი ბრიტანული ჟურნალის ეს ამაღლებული დითირამბი (რომელიც ჩვენ ერთი-სამად შევამოკლეთ) ის ადამიანური ხარკია, რომელიც მან მომხდარ ტრაგედიასა და მის მამაც გმირებს მიუძღვნა. ამის გვერდით ჟურნალი გვთავაზობს შეძლებისდაგვარად სრულსა და ობიექტურ ანალიზს, რომლის მიზანია მომხდარის მიზეზები გაარკვიოს. მიზეზები დადგენილი არ არის (ჯერჯერობით), მაგრამ ამერიკაში ბევრს უკვირს, რატომ მოხდა, რომ ასტრონავტები არ შეაიარაღეს რაიმე ტექნიკური საშუალებებით, ხომალდის შესაძლო დაზიანებებთან ბრძოლისათვის და, უკიდურეს შემთხვევაში, სამაშველო სამუშაოებისათვის თავის გადასარჩენად. არის ეჭვიც, რომ ერთ-ერთი მიზეზია ნასას დაფინანსების შეკრეჭა, თუმცა, ჟურნალის აზრით, ეს დიდად დამაჯერებელი არაა, რადგან ნასას წლიურად 7 მლრდ. დოლარი მაინც აქვს. ეჭვი გამოითქვა შატლის პროგრამის მიზანშეწონილობაზეც: იგი განზრახული იყო, როგორც კოსმოსური ტაქსის რეისები, რომლებითაც კოსმოსში უზარმაზარი ტვირთები ავა კვირაში ერთხელ და თითო 5 მლნ. დოლარი დაჯდება. რეალურად „შატლი" წელიწადში ოთხ რეისს აკეთებს და თითო 50 მლნ. დოლარად ჯდება. ეჭვი შეეხო პროგრამის მომხრეთა ძირითად არგუმენტსაც — ისეთი კოსმოსური ამოცანების არსებობას, რომელსაც უსათუოდ კაცი უნდა და არა რობოტი, ჟურნალის სიტყვით, არც ესაა ძლიერი საბუთი, რადგან ასეთი — არასარობოტე — ამოცანების ჩამონათვალი ტექნოლოგიურმა პროგრესმა ძალიან ჩამოადნო.



ხუთი დღემდე აგებული შატლიდან უკვე მეორე დაიღუპა. მიზეზის შესახებ სოლიდური მსჯელობა შესაძლებელი იქნება მას მჭრე, რაც ყოველმხრივ შეისწავლება ნამტვრევები, რომლებიც 1800 ათასი კვდრატული კმ-ის ფართობზეა მიმობნეული. ვარაუდობენ, რომ ავარია სტარტზევე დაიწყო და რომ (საფიქრებელია) მისი შემჩნევა, რაც უნდა ადრე მომხდარიყო იგი, ასტრონავტებს ვერ გადაარჩენდა. კრიტიკული შენიშვნები პროგრამის მესვეურთა და ორგანიზატორთა მისამართით, რაც გამოითქმის ამ მეორე ავარიის შემდეგ, სამი რიგისაა: რატომ შეიკვეცა დაფინანსება, რატომ ვერ განსაზღვრეს უსაფრთხოების ზომები და რატომ გამოიყენეს უკვე ძველი შატლი? (პირველ ორზე ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი). ჟურნალს მოჰყავს საბუთები იმის დასადასტურებლად, რომ დაღუპულ შატლს არც სიძველით განპირობებული რაიმე დეფექტი სჭირდა.

კითხვა დგას: რა აზრი ექნებოდა (ან მომავალში ექნება) ავარიის დროულ შეტყობინებას მიწაზე, თუ გასაჭირში ჩავარდნილი ეკიპაჟის „სამაშველოდ" ახალი შატლის გაგზავნას (გასაგზავნად გამზადებას) თვეები უნდა? დგას კითხვაც: თუ შატლების პროგრამაზე ხელი ავიღეთ, როგორღა დავუკავშირდეთ საერთაშორისო კოსმოსურ სადგურს და მის ეკიპაჟს (მის ჩამოყვანასაც ველარ შევძლებთ). შესაბამისად, მესამე კითხვაც იბადება: ხომ არ გვქონდეს რუსების იმედი, რომელნიც ამ მიზნისთვის ერთჯერადი გამოყენების კაპსულა „სოიუზს" ხმარობენ? (იგი მიდის კოსმონავტებიანად, მაგრდება „სადგურზე", მერე უკან მოდის სხვა კოსმონავტებიანად, მაგრამ დაშვების პროცესში ნადგურდება). ჟურნალის სიტყვით, ასეთი დამოკიდებულება რუსულ „სოუიზზე" ბევრ ამერიკელს არასასურველად მიაჩნია, ჟურნალი იმ აზრისკენ იხრება, რომ ადამიანთა გაყვანა კოსმოსში ამ ეტაპზე ეკონომიკურად მიზანშეუწონელია (უკაცო ხელსაწყოები უფრო ეფექტიანად მუშაობენ), მაგრამ იმასაც ფიქრობს, რომ ჩინეთის მიერ კოსმონავტების გაშვებისთანავე (ეს მოხდება ამ წლის დამლევს), — ნებით იქნება თუ უნებურად — ამერიკელებს ჩაბმა მოუხდებათ კოსმოსის სწორედ ადამიანური ათვისების დოღში.

**სურათზე: 1. შატლის სტარტი**

**2. „შესანიშნავ შეიდეულად" წოდებული და[illegible]ლი ეკიპაჟი: კალპინა ჩავლა, ინდოეთში დაბადებული და გაზრდილი ამერიკის მოქალაქე. ნამყოფი იყო კოსმოსში 1997 წელს; იდან რამონი, იზრაელის მოქალაქე, სამხედრო ავიაციის პოლკოვნიკი, მონაწილეობა ჰქონდა მიღებული მშენებარე რეაქტორის დაბომბვაში ერაყში 1981 წელს. ერთადერთი არაამერიკელი ეკიპაჟის წევრთა შორის; ლაურელა კლარკი, ექიმი ქალი. წლები ჰქონდა გატარებული სამუშაოზე წყალქვეშა ნავებში; დევიდ ბრაუნი, ექიმი. ახალგაზრდობაში მუშაობდა ცირკში აკრობატად; უილიამს მაკკული, ყოფილი მფრინავი-გამომცდელი; რიკ ჰაზბენდი, შატლის მეთაური; მაიკლ ანდერსონი, ამერიკელი ზანგი, ყველანი დაახლოებით 40 წლისანი იყვნენ.**




# ომი, საზოგადოებრივი აზრი, იურიდიული და მორალური დეტალები

რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ, რომელიც უკვე ოცდამეხუთე წელია, რაც კათოლიკურ ეკლესიას მეთაურობს, თავისი პონტიფიკატის მანძილზე გაილაშქრა ყველა ომის წინააღმდეგ, რაც დედამიწაზე მოხდა, და ვერც ერთხელ მოვლენათა განვითარებაზე უშუალო გავლენა ვერ მოახდინა. მიუხედავად ამისა, მის აზრს დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე და, აქედან გამომდინარე, — მომავალზეც. დღეს იგი ესაუბრება ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრს, სარწმუნოებით კათოლიკე ქრისტიანს თარიკ აზიზს, რომელიც არ ერიდება ისეთი მსჯავრის გამოთქმას, როგორიცაა, მაგალითად, ის, რომ ბუში დღევანდელი ჰიტლერია და რომ მისი სურვილი, გაერომ უსიტყვოდ ასრულოს მისი ნება, ისევე დაანგრევს ამ ორგანიზაციას, როგორც ჰიტლერის მოქმედებამ დაანგრია ერთა ლიგა 1930-იან წლებში. „მე არა მგონია, გაეროს ინსპექტორებს სჭირდებოდეთ ჯარისკაცები. ისინი განიარაღების მისია არიან, და არა ოკუპაციისა" — აცხადებს იგი. პაპი, თავის მხრივ, ნათლად ადგას იმ პოზიციას, რომ იგი არანაირად არ ემხრობა სადამ ჰუსეინს, და მკაცრად მოუწოდებს ამ უკანასკნელს, სრულად განახორციელოს მსოფლიო საზოგადოებრიობის ნება, რაც აუცილებელია მისი ხალხის გადასარჩენად.

იურისტთა სხვადასხვა გაერთიანებები ცდილობენ არსებულ ვითარებას ადექვატური იურიდიული კვალიფიკაციები მოუნახონ. ერთი თვლის, რომ ომი „უკანონოა და არააუცილებელი", მეორე — რომ იგი „ანგრევს საერთაშორისო სამართალს", მესამე — რომ „საერთაშორისო სამართალში არ არსებობს პრეცედენტი ძალის გამოყენებისა, როგორიც პრევენციული ზომისა, როცა ადგილი არა აქვს რეალურ ან გარდუვალ დარტყმას დამრღვევი სახელმწიფოს მხრიდან". ამ ორი შემთხვევის გარდა ძალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა უშიშროების საბჭო აცხადებს მშვიდობისათვის საშიშროების არსებობას და ყველა არასამხედრო ზომა მის მიერ აღიარებულია არაადექვატურად. ამიტომაც გაეროს დღესდღეობით არსებული რეზოლუციები „არ იძლევა წინასწარ ნებართვას ომისთვისო". ამერიკის ადმინისტრაციის იურისტები, პირიქით, იმ აზრისა არიან, რომ არსებული რეზოლუციები და ის ფაქტი, რომ ერაყი თვალნათლივ უგულებელყოფს მათ თავის მოქმედებაში, სწორედ ომის ის მხარდაჭერაა, რომელსაც ამერიკელები საჭიროებენ. კიდევ ერთი იურიდიული კითხვა, რომელიც დგება, ეხება იმას, თუ ვინ უნდა იყოს მიჩნეული უმაღლეს მსაჯულად ამ საქმეში. გამოთქმულია აზრიც, რომ უშიშროების საბჭოს არ ეკუთვნის ეს უფლება. საკითხი ექვემდებარება გაეროს ქარტიას (ანუ იგი უნდა განხილულ იქნას ამ ქარტიისადმი შესაბამისობის თვალსაზრისით) და საერთაშორისო სასამართლოსო. („ფაინენშელ ტაიმსი").



ზემოთ უკვე დამოწმებული არგუმენტი — რომ ჰუსეინის რეჟიმი საშიშია არა როგორც მასობრივი მოსპობის იარაღის მწარმოებელი ან მომხმარებელი, არამედ, პირველ ყოვლისა, როგორც აბრა ცნობილი სუპერძალის შესაბამის ქმედებათათვის — გაზეთის მიერ ციტირებულ ამ დისკუსიაში არ მონაწილეობს.

# მოულოდნელი არაფერი მომხდარა

როგორც ცნობილია, გაეროს ინსპექტორებმა ბლიქსის მეთაურობით ვერ წარუდგინეს უშიშროების საბჭოს ცალსახა და უჭოჭმანო დასკვნა ერაყის შეიარაღებათა მდგომარეობაზე. სრული სინათლე ამ საკითხში ვერც აშშ სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის გამოსვლამ შეიტანა. „ფაინენშელ ტაიმსმა" წინდაწინვე გამოაქვეყნა პოზიციებისა და არგუმენტების ის განლაგება, რომელიც იმ ისტორიული სხდომის წინ არსებობდა და რომელიც დღესაც ძალაშია, 10 მარტის მოლოდინში, როცა საკითხის საბოლოო გადაწყვეტა უნდა მოხდეს. „ქორულ" ანუ შემტევ პოზიციაში არიან აშშ და გაერთიანებული სამეფო (საბჭოს მუდმივი წევრები) და ესპანეთი და ბულგარეთი (საბჭოს მორიგე წევრები), „მტრედულ" პოზიციში არიან, ანუ ინსპექციის გაგრძელებას მოითხოვენ, საფრანგეთი, რუსეთი და ჩინეთი (საბჭოს მუდმივი წევრები) და გერმანია და სირია (მორიგე წევრები). „გაურკვევლობაში არიან" და „ნატრობენ ნეტავ ახლა აქ არ ვიყოთო") მორიგი წევრები პაკისტანი, გვინეა, ანგოლა, ჩილე, მექსიკა, კამერუნი. თვით ჰანს ბლიქსი ამბობს, სიამოვნებით გავაგრძელებ ინსპექტირებას, თუ გამაგრძელებინებენო. საფრანგეთის პოზიცია შეცვლილია იმასთან


ინსპექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი ჰანს ბლიქსი

შედარებით, რაც ზაფხულში ჰქონდა: მაშინ იგი ომის წინააღმდეგი იყო, მაგრამ მოკავშირეებს არ ეძებდა უშიშროების საბჭოში. ახლა იგი გააქტიურებულია და საბჭოს შიგნით ალიანსის შექმნაზე მუშაობს. გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ფრანგები ერაყში ომს კი არ გამორიცხავენ, არამედ მხოლოდ მანამდე ომს, სანამ ყველა სხვა შესაძლებლობა ერაყის განიარაღებისა არ ამოიწურება. პრეზიდენტ შირაკს თავისუფლად შეუძლია თავისი საპარლამენტო უმრავლესობისა და არაერთი ძლიერი ფრანგი მოკავშირის იმედით ტელევიზიით გამოვიდეს და თავისი არაამერიკული კურსი ერაყის საკითხზე რიხიანად განაცხადოს, რითაც „ტრანსატლანტიკურ ბზარს", ანუ ევროპული და ამერიკული პოზიციების განსხვავებულობას, გააღრმავებს. მაგრამ ჯერჯერობით იგი ამ ნაბიჯს არ დგამს.

სხვათა „ლოგიკები" ასეთია:

ამერიკელებისა: იმედია, საბჭო მიიღებს საჭირო გადაწყვეტილებას. თუ ვერა, ეს ჩვენს მოქმედებაზე ხელს არ აგვალებინებს.

ბრიტანეთი: ჩვენი გვიანობა სადამს იმედს აძლევს, რომ წინააღმდეგობას მისთვის წარმატება მოაქვს. ომს მოითხოვს გაეროს ავტორიტეტის დაცვის ინტერესები.

რუსეთი: სრულებით უსაფუძვლოა იმის ფიქრი, რომ რუსეთ-საფრანგეთ-გერმანიის პოზიცია ანტიამერიკულია. ომი არ არის გამორიცხული, როგორც უკანასკნელი საშუალება, მაგრამ იგი არ უნდა მოხდეს. რადგან მას მოჰყვება მსხვერპლი, საერთო დესტაბილიზაცია და, აქედან გამომდინარე, ტერორიზმთან ბრძოლის საერთო საქმის შეფერხება.

სავალუტო ფონდი აფრთხილებს რუსეთს, შეამციროს თავისი დამოკიდებულობა ნავთობის მსოფლიო ფასებზე, რომელთა მაღალი დონე რუსეთის, როგორც ნავთობის ექსპორტერი ქვეყნის, შემოსავლის ძალიან დიდ ნაწილს განაპირობებს. ამ ცოტა ხნის წინ „ბრიტიშ პეტროლეუმმა" რუსეთში 6,75 მილიარდი დოლარი დააბანდა და სიდიდით მესამე სანავთობე კომპანია შექმნა. რუსეთის ხელისუფლება ამას ჯების გაზრდისაგან. ასეთი ფონდის შექმნას, რასაც იყენებს ნავთობის ექსპორტზე დამოკიდებული არაერთი ქვეყანა, უხალისოდ ეკიდება რუსეთის ფინანსთა სამინისტრო, მაგრამ ახლა იგი თანხმობისკენ იხრება. ფონდის წყაროა ის ნამატი გადასახადი, რაც ფასების გაზრდამ მოიცა.

მსოფლიო ფონდი იწუნებს რუსეთის მაკროეკონომიკურ სტრუქტურასაც, სადაც „სიმდიდრის უზარმაზარი კონცენტრაცია" სუფევს, სადაც „კერძო

# სავალუტო ფონდი აფრთხილებს რუსებს



მიესალმა, როგორც ქვეყნისადმი ნდობის ნიშანს. მაგრამ სავალუტო ფონდი საჭიროდ თვლის რუსეთში სტაბილიზაციის ფონდის შექმნას იმ (ძალიან მოსალოდნელი) შემთხვევისათვის, თუ ნავთობის მსოფლიო ფასები დადაბლდება, რათა დაიცვას რუსული მანეთი გაძვირებისაგან (რაც ცუდად აისახება რუსული სამამულო წარმოების ბედზე) და სახელმწიფო ხარსექტორის დიდი სექტორები მართულია თითებზე ჩამოსათვლელი კონგლომერატების მიერ" და ამათაც „თითებზე ჩამოსათვლელი ინდივიდები ფლობენ". მიუხედავად მანეთის 1998 წლის დევალვაციისა, რამაც ძლიერი სტიმული მისცა რუსულ წარმოებას, მისი ზრდა მაინც ნელია, ასე რომ ძირითად წყაროდ რუსეთშიც, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, ინვესტიცია რჩება.

# ერაყის რაკეტების ეპოპეა

ერაყის „ბრძოლის ველის" რაკეტები ანუ მოკლერადიუსიანი ტაქტიკური რაკეტები ძირითადად ორი სახისაა. ერთია „სამუდ-2", რომელიც დამყარებულია საბჭოთა CA-2-ის (მიწა-ჰაერი) რაკეტაზე, მაგრამ მოდიფიცირებულია „მიწა-მიწად". მეორეა „აბადილ-100", რომელიც აგრეთვე საბჭოთა ტაქტიკურ რაკეტას ემყარება. ამოსავალი საბჭოთა რაკეტები დიდი რაოდენობით შეიტანეს ერაყში 1980-იან წლებში. მას შემდეგ ერაყელებმა დიდი ქარხნები ააშენეს ამ რაკეტების „დერივატივების", ანუ მათზე დამყარებული, მაგრამ ახალ მიზნებთან მორგებული რაკეტების საწარმოებლად. ერაყისთვის 1991 წლის ომში დამარცხების შემდეგ დაწესებულ ზღვარს — რომ რაკეტის მოქმედების რადიუსი არ უნდა აღემატებოდეს 150 კილომეტრს — ერაყელებმა იმით გადააბიჯეს, რომ სიმძლავრე მოუმატეს მოტორს და საწვავის ახალი ბაკები დაუმატეს. ეს რაკეტები არ არის ნამდვილად ბალისტიკური („ტყორცნითი"), ვინაიდან ისინი არ გადიან ატმოსფეროდან და, ამგვარად, არ მიფრინავენ წინააღმდეგობის გარეშე. ინსპექტორთა მიერ დღემდე ნახულ ეგზემპლარებს მხოლოდ ჩვეულებრივი ქობინები („საბრძოლო თავები" — WARHEADS) ჰქონდათ, მაგრამ ამერიკელებს და ბრიტანელებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ პრობლემას არ წარმოადგენს უმოკლეს დროში ამ რაკეტებისათვის ქიმიური ან ბიოლოგიური ქობინების კონსტრუირება და დამზადება. ამ ორიოდე კვირის წინ რომ დისლოკაციის ჩვეულებრივი ადგილიდან ბაღდადის მახლობლად „აბადილ-100"-ების ორი ბატარეა ბასრისკენ გადააადგილეს (აშშ და ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებზე დასარტყმელად ხელსაყრელ პოზიციაში), ამას მოჰყვა დასავლელთა საჰაერო დარტყმა ამ ბატარეებზე. ამ მოკლერადიუსიანი რაკეტებისადმი ერაყელთა პირველხარისხოვანი ყურადღება გაჩნდა მას შემდეგ, რაც მათ აეკრძალათ (1991) 600 კმ. რადიუსის მქონე რაკეტების შეიარაღებაზე ქონა.

ყველა ზემომოცემული ცნობა აღებულია „ფაინენშელ ტაიმსიდან". გაზეთი დუმს საბჭოთა (რუსულ) შეიარაღებათა სხვა სახეებზე, რომლებიც ერაყს აქვს და რომლის მოდიფიცირებასაც იგი ეწევა, აგრეთვე იმაზე, თუ ვისი ძალებით ხდება ეს მოდიფიცირება — ერაყის „ახალი ინჟინრებისა", რომლებიც ერაყელებმა პირველ ომში დამარცხების შემდეგ გაწვრთნეს, თუ ისევ ძველი რუსი სპეციალისტებისა, რომლებმაც ამოსავალი რაკეტები შექმნეს თავის დროზე. გაზეთი არც იმას ახსენებს, რაც ყველაზე არსებითია — რომ ერაყი საშიშია არა როგორც მასობრივი მოსპობის იარაღის მწარმოებელი, არამედ როგორც აბრა ნამდვილი მწარმოებლის — რუსეთის — დასაფარავად და როგორც პასუხისმგებლობის პოტენციური ამღები იმ (შესაძლოა) დიდმასშტაბიან დარტყმებზე, რომელიც ამ იარაღით — ან სხვა, თუნდაც ჩვეულებრივი იარაღით — დასავლეთის ამა თუ სტრატეგიული პოზიციების მიმართ იქნება მიყენებული.

ჩრდ. კორეის დიქტატორს დაწყნარებისა არაფერი ეტყობა. ვარაუდობენ, რომ ამ თითქმის უკანასკნელმა ლიად კომუნისტურმა მბრძანებელმა, რომელიც ყველაზე უფრო დიდ „პრობლემად“ ითვლება დღეს „ბირთვული გაუვრცელებლობის“ ამოცანის კონტექსტში, ამ ცოტა ხნის წინ ბრძანება გასცა, გადამუშავებაში გაუშვან მოხმარებული ბირთვული საწვავის 8000 ღერო, რათა იქიდან ამოიღონ ბომბის დასამზადებლად გამოსაყენებელი პლუტონიუმი. ამით, სპეციალისტთა აზრით, იმ ორიოდე ბომბს, რომელიც კორეელებს, მათი ვარაუდით, უკვე აქვთ, შეემატება 5-6 ახალი ბომბი. გარდა ამისა, 5 თებერვალს გამოცხადდა, რომ აამუშავებენ აქამდე გაჩერებულ ბირთვულ რეაქტორს იონ-ბიონში, რის შედეგადაც ახალი ღეროები გაჩნდება. ამერიკელები არ ჩქარობენ პირდაპირი მოლაპარაკების დაწყებას ჩრდ. კორეასთან, რადგან ელოდებიან სამხრეთ კორეის ახალი პრეზიდენტის რომუ-ჰიუნის ინაუგურაციას მარტის დამლევს. ცნობილია, რომ ახალი პრეზიდენტი ჩრდ. კორეასთან ურთიერთობაში ამჟამინდელზე უფრო მკაცრი კურსის მომხრეა.

ჩრდ. კორეელები (ერაყისგან განსხვავებით) არ მალავენ თავის ამბიციებს შეიარაღების საქმეში. მათ გამოცხადებული აქვთ მუშაობის გაგრძელება

# ჩრდილოეთ კორეა უფრო სახიფათო ხდება (THE ECONOMIST-ის აზრი)

რაკეტების სრულყოფის მიმართულებით და ამ ცოტა ხნის წინ ისიც კი თქვეს, რომ შესაძლოა რაკეტების გამოცდა განაახლონ. ამერიკელები ყოველივე ამას პასუხობენ შორეული აღმოსავლეთის რეგიონში თავისი ძალების გაზრდით (რაც



ჩრდ. კორეის იდეოლოგია დღეს.

მათ არ უჭირთ, ვინაიდან მათი სათავდაცვო დოქტრინა ამბობს, რომ მათ უნდა შეეძლოთ ორი სრულმასშტაბიანი ომის წარმოება ერთდროულად — ერთისა ატლანტიკის მიმართულებით და მეორისა წყნარი ოკეანისაკენ. რედ.). რუსეთი ამ შემთხვევაშიც — ისევე, როგორც ერაყის შემთხვევაში — ისწრაფის, რომ შუამავლის არაოფიციალური როლი მოიპოვოს, და წუხილს გამოთქვამს, რომ ამერიკელთა მეტისმეტად მძაფრმა კილომ კორელეებთან ურთიერთობაში შეიძლება „მაპროვოცირებელი“ გავლენა იქონიოს. მოსალოდნელია, რომ ყოველი გაძლიერება მოთხოვნისა, შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, მდგომარეობას უფრო და უფრო დაძაბავს.

თუ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო ამ თემაზე გაეროს მიჰმართავს, არაა მოსალოდნელი, რომ უშიშროების საბჭომ იჩქაროს რაიმე გადაწყვეტილებების მიღება. მიუხედავად ამისა, ამერიკელები მაინც მონდომებულნი არიან, რომ გაერომ ეს საქმე განსახილველად მიიღოს: ჯერ ერთი, მათ უნდათ, რომ ჩრდ. კორეა აიძულონ მუდმივი პასუხის გებისათვის მის მოქმედებაზე მისი ბირთვული იარაღის მდგომარეობის თაობაზე. მეორეც, მათ უნდათ, ამ პრობლემის მოვლაში ასე თუ ისე ჩაბმულნი იყვნენ სხვებიც — გაეროს წევრი ქვეყნები — და აშშ მარტო არ შეატოვონ ამ პრობლემას. მაგრამ ჩრდ. კორეა აცხადებს, რომ მას არ უნდა გაეროსთან ურთიერთობა ამ საკითხზე, არამედ ურჩევნია ორმხრივი დიალოგი ამერიკელებთან. იგი თანახმა იქნება „რეგიონულ მოლაპარაკებაზეც“ სამხრეთ კორეის, იაპონიის, ჩინეთის და რუსეთის მონაწილეობით.

ჩრდ. კორეელები ლაპარაკობენ „სამხედრო ზეწოლაზე“ ამერიკელთა მხრიდან და ყრუდ ახსენებენ „წინმსწრებ დარტყმასაც“ კი, თუკი ამერიკელებმა თავისი ძალა ამ მიდამოში მეტისმეტად გაზარდეს. იმავდროულად ისინი სასურველად რაცხენ საკითხის „მშვიდობიან და სამართლიან გადაჭრას“ და ითხ-




ოვენ თავდაუსხმელობის ორმხრივ ხელშეკრულებას ამერიკასთან. ამერიკელები ჯერჯერობით უარზე არიან იმ მოტივით, რომ კორეამ აქამდე ყველა ხელშეკრულება უგულებელყო, მათ შორის — 1994 წლისაც, როცა მან ხელი აიღო პლუტონიუმის წარმოებაზე, ნავთობის დახმარებისა და ორი მომცრო ბირთვული რეაქტორის აგების სანაცვლოდ. მაგრამ ამერიკელები არც დიპლომატიური გზის წინააღმდეგნი არიან.

დღეს პოზიციათა გამყოფი ხაზი ასეთია: ამერიკელები მოითხოვენ, კორეელებმა „შემოწმებადი და შეუქცევადი ურთიერთობა დაამყარონ“. კორეელებს კი ჯერჯერობით არაფერში ეტყობათ, რომ უკვე გადადგმული გამომწვევი ნაბიჯებით დაკმაყოფილდებიან ან, მით უფრო, რომ უკან დაიხევენ.

# ჩრდილოეთ კორეა და შეერთებული შტატები

„ფაინენშელ ტაიმსი“ გვიხასიათებს იმ რეალურ ფონს, რომელზედაც იშლება ამ ორი პოლარულად ურთიერთგანსხვავებული სახელმწიფოს კონფლიქტი — მეომრული ოპტიმიზმით (მდაბიურად რომ ვთქვათ — ბაქიბუქით) აღბეჭდილი ქადილი კორეელთა მხრიდან და უცნაურად გულჩვილი დაყვავება ერაყში ომის მომლოდინე ამერიკელების მხრიდან. საქმის ერთი მხარე ნათელია, თუმცა არა სავსებით: კორეელებს თითქმის აქვთ უკვე ბირთვული იარაღი და თითქმის აქვთ უკვე მოქმედების საკმარისი რადიუსის მქონე რაკეტები, რომლებიც ამ ბირთვულ მუხტს აშშ-ს დასავლეთ სანაპირომდე მიიტანენ. თუ ერაყში აღმოჩენილი რაკეტების მოქმედების რადიუსი 25%-ით აჭარბებს დაშვებულს (150 კმ), კორეის შესახებ არსებობს ცნობა, რომ მას მოქმედების 6000 კმ-ის რადიუსის მქონე რაკეტა აქვს. ჯერ კიდევ 2000 წელს ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გააფრთხილა ხელისუფლება, რომ „ტაეპო-დონგ-2“ კორეულ რაკეტას ძალუძს რამდენიმე ასეული კილოგრამი ტვირთის ჩატანა ალასკაზე ან ჰავაის კუნძულებზე და უფრო ნაკლებისა — აშშ დასავლეთ შტატებში. თუ სამსაფეხურიანად გადაკონსტრუირდა, იგი იქაც რამდენსამე ასეულ კგ. ტვირთს ჩაიტანს. „ტაეპო-დონგ-1“ ტიპის კორეულმა რაკეტამ ერთხელ უკვე გადაუფრინა იაპონიას (მისი რადიუსი იყო 2000 კმ.) ამერიკელთა ოფიციალური ინსტანციები ამ ესოდენ დამაფრთხობელ ინფორმაციას გაზვიადებულად თვლიან: იაპონიაზე გადაფრენილი რაკეტა 1960-იანი წლების კონსტრუქციისა იყოო და, ამდენად, ნაკლებ საშიშიაო. იგი ვერც საკმარის ტვირთს ზიდავს და ვერც ქალაქისოდენა მიზანს მოარტყამსო. არც ისაა უეჭველი, რომ ბირთვული ბომბი უკვე აქვს ან მალე ექნებაო. მაგრამ ამ დამამშვიდებელ კილოს მძლავრად ეწინააღმდეგება ინფორმაცია კორეელთა ინტენსიური მზადების შესახებ



კორეის რაკეტები, სარაკეტო ბაზები და მოქმედების რადიუსები. წყვეტილი სახით — დაგეგმილი რადიუსი

ბომბისა და სათანადო რაკეტების წარმოებისათვის და მათი მიღწევების შესახებ ამ სფეროში.

ასე რომ ამერიკელთა რბილი კილო — მათი ოფიციალური ინსტანციების მიერ ხიფათის უარყოფა ან შერბილება — დიპლომატიის ელემენტი უფრო ჩანს, ვიდრე ინფორმაციისა. კორეა — არაერთი კომენტარით — უფრო საშიშია ამერიკელებისათვის, ვიდრე ერაყი. ჩვენი პოლიტიკის ნაკლია არა მისი ერთმხრივობა, არამედ მისი ერთგანზომილებიანობა, მხოლოდ ერაყზე კონცენტრაციაო — ამბობს ყოფილი სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი. ამერიკელთა სტრატეგიაში შედის არა მხოლოდ ხიფათისადმი ოპტიმისტური დამოკიდებულება, არამედ იმის იმედის აფიშირებაც, რომ კორეის კონფლიქტი დიპლომატიური გზით გადაწყდება. ბუნებრივია, რომ ამერიკელები ცდილობენ პრობლემის გადაჭრაში მაქსიმალურად ჩააბან გაერო. ასევე ბუნებრივია, რომ რუსები ცდილობენ თავისი მოკავშირე კორეა მაქსიმალურად მოზღუდონ გაეროს ყურადღებისგან და აპირებენ ვეტოს დადებას უშიშროების საბჭოს ყველა შესაძლო განცხადებაზე, რომელიც კორეელებისთვის სასიამოვნო არ იქნება.

# რით იმართლებს თავს შროდერი

გერმანიის კანცლერის შროდერის უარი, მონაწილეობა მიიღოს ერაყის წინააღმდეგ მიმართულ აქციაში და მხარი დაუჭიროს ამერიკულ პოზიციას გაეროში, გერმანიაში მრავალ უკმაყოფილებას იწვევს. შროდერი პასუხობს, რომ გერმანიას სრულებითაც არ უნდა ჰრცხვენოდეს თავისი ამ პოზიციისა. საერთაშორისო სიტუაცია შეცვლილია და დღეს გერმანია „სამშვიდობო“ მოქმედებების მეორე მონაწილეა მასშტაბების მხრივ მსოფლიოში (პირველია აშშ). მისი წვლილი ამ საქმეში წლიურად 2 მილიარდი ევროს ხარჯს იწვევს. ქრისტიან-დემოკრატებს, რომლებიც ამერიკელებისათვის მხარდაჭერას მოითხოვენ, იგი „ომის გამჩაღებლებს“ უწოდებს და თვლის, რომ ამერიკელთა მხარდაჭერით ამ ვითარებაში გერმანია შეასუსტებდა თავის ტრადიციად ქცეულ მეგობრულ ურთიერთობას საფრანგეთთან. ფაშიზმისგან გერმანიის განთავისუფლებაში და გერმანიის გაერთიანებაში ამერიკელთა როლის კიდევ ერთხელ მადლიერებით მოხსენიების ფონზე შროდერმა ბუშის ერაყული პოლიტიკა კრიტიკის საგნად გახადა მორალურადაც, პოლიტიკურადაც და ინტელექტუალური დონის მხრივაც, თუმცა არ ავიწყდება იმის ხსენება, რომ ამერიკულ-გერმანული კავშირი საკმარისად მყარია, რათა „აზრთა განსხვავებულობის პერიოდებს გაუძლოს“. ამერიკელთა შედარებით რბილ პოზიციას ჩრდ. კორეის მიმართ, რომელიც თითქმის დაუფარავად ემზადება ბირთვული იარაღის წარმოებისათვის, შროდერი ორმაგი სტანდარტის გამოვლენად თვლის. ამავე დროს იგი აღნიშნავს, რომ ერაყთან ომით გაფუჭდება დასავლელთა ურთიერთობა მუსლიმანებთან და ხიფათი შეექმნება იზრაელს. „ფაინენშელ ტაიმსის“ ცნობით, შროდერის ეს პოზიცია მოწინააღმდეგეთა მიერ ფასდება როგორც „მოყვარულისა“ (არაპროფესიონალისა) და, აქედან გამომდინარე, როგორც სადამ ჰუსეინზე დიპლომატიური ზეწოლის შემამსუბუქებელი.

„ფაინენშელ ტაიმსი“ ფრთხილად და „საყოფაცხოვრებო ტონალობაში“ იმოწმებს გერმანელთა ერთ-ერთ მთავარ მოტივსაც, რომელიც მათს პროამერიკულ განწყობილებას მართავს — შიშს, რომ ამერიკელები, თუკი რამე ეწყინათ, ევროპიდან წავლენ. ამჯერად საუბარია იმაზე, რომ გერმანელ მოსახლეობას აინტერესებს ამერიკული ბაზების დარჩენა ადგილზე, რასაც, მაგალითად, მხოლოდ ერთი ავიაბაზის მიდამოებში, სადაც 44 ათასი სული ამერიკელი იმყოფება, ჰოსპიტალისა და სხვა მომსახურე სტრუქტურების ჩათვლით (ამ რიცხვში შედიან ოჯახების წევრებიც) წლიურად 1 მილიარდი ევროს შემოსავალი მოაქვს. სულ გერმანიაში 70-80 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეა დისლოცირებული. არსებული სოციალური ჰარმონია ცოტა არ იყოს კითხვის ქვეშ დააყენა ერთი-ორი ამერიკელი პოლიტიკოსის გამოსვლამ, რომელთაც გაკვრით ახსენეს გერმანიიდან ამერიკელი შეიარაღებული ძალების გასვლის თემა.

# რა ხდება გამიჯნურებული თაგვების სულში?

თურმე (როგორც გვატყობინებს „ფაინენშელ ტაიმსი“) შეყვარებულ თაგვებს უჩნდებათ მეექვსე შეგრძნება. თუ ადამიანს სატრფოს სახის წარმოდგენაზე ტვინში ის ნეირონები ეგზნება, რომლებიც მხედველობას ეკუთვნიან, თაგვების ტვინში სატრფოს „გამოსახულებას“ ის ნეირონები ინახავენ, რომლებიც დაკავშირებულნი არიან „ფერომონების“ რაგვარობისა და განლაგების ამოცნობასთან. ეს სახელი აღნიშნავს სათუთ ქიმიურ სიგნალებს, რომლებსაც ცხოველი იჭერს ცხვირის ღრუში მოთავსებული სპეციალური ორგანოთი. ეს ორგანო სხვაა, ვიდრე სუნთა დამჭერი ორგანო. ტვინს ამ სიგნალთა გადამუშავების ცალკე მექანიზმი აქვს. ამგვარ



სიგნალთაგან შექმნილი მთლიანი ხატით მამალი დიდ ინფორმაციას ღებულობს დედლის შესახებ: იგი ტყობილობს არა მხოლოდ მის სქესს, არამედ მის ინდივიდუალურ ვინაობასაც (ცნობს მას), მის „სოციალურ მდგომარეობასაც“ და მის რეპროდუქციულ შესაძლებლობების (გამრავლების უნარის) ხარისხსაც. ამ მექანიზმის აღმოჩენა (რაც სულ ახლახანს მოხდა) ერთ-ერთი უკანასკნელი „შავი ყუთის“ გახსნაა ტვინის ფუნქციონირების რთულ სისტემაში.




# ესპანეთის ბასკები

შარშან ესპანეთის და საფრანგეთის პოლიციამ დააპატიმრა ბასკების ტერორისტული ორგანიზაცია „ეტა“-ს 190 წევრი, ამათში 60 — საფრანგეთის ტერიტორიაზე. მინიმალური სასჯელი „ეტას“ წევრობისათვის ესპანეთში იყო 30 წლის პატიმრობა, ახლა იგი 40 წლამდე გაზარდეს. ბასკი ნაციონალისტების ლეგალური ორგანიზაცია — პარტია „ბატასუნა“ — ამ რამდენიმე თვის წინ აკრძალეს. ბასკების ქვეყნის ადგილობრივ ხელისუფლებაში „ბატასუნა“ უმრავლესობაშია და, ამგვარად, იგი მმართველი პარტიაა, მაგრამ მალე არჩევნები იქნება და აკრძალული პარტია მასში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ამიტომ შეიქმნა ამავე მიმართულების ახალი პარტია — PNN („ბასკების ნაციონალისტური პარტია“) — რომელსაც იმედი აქვს, რომ ბატასუნას ყოფილ ამომრჩეველთა ხმებს მიიღებს, და რომლის ადგილობრივი ლიდერი ხუან ხოზე იბარეთხე გეგმავს რეფერენდუმს, რომელმაც უნდა მოითხოვოს, რომ ბასკეთი იყოს „ესპანეთთან ასოცირებული თავისუფალი სახელმწიფო“, რომელიც, შესაძლოა, დაექვემდებარება ესპანეთის მეფეს. ამ გეგმას იგი შესთავაზებს ბასკების ყრილობას (ასამბლეას). ესპანეთის სახელმწიფოს მეთაური აზნარი მყარად ადგას იმ პოზიციას, რომ „ეტასთან“ არანაირი მოლაპარაკება არაა დასაშვები: იგი მტკიცე ხელით უნდა აილაგმოს კანონმდებლობითა და პოლიციის ძალით. მისი ემოცია ამ მიმართულებით განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ცეცხლის შეწყვეტის მდგომარეობის შემდეგ (1998-1999) „ეტამ“ ტყვიით მოკლა პოლიციელი, როცა იგი ცდილობდა გაეჩერებინა მანქანა, რომელსაც ასაფეთქებელი მასალა მიჰქონდა მადრიდში.

ეს ცნობები აღებულია The Economist-იდან. მაგრამ ყველაზე საყურადღებოა ჟურნალის პოზიცია. იმას, რომ აზნარი შეძლებს „მტკიცე ხელის“ პოლიტიკით პრობლემის რადიკალურ გადაჭრას ბასკების საზარალოდ, ჟურნალი სკეპტიკურად უყურებს. არც იმას ვარაუდობს, რომ აზნარს სხვა რამ, ალტერნატიული გეგმა აქვს. მას იმედი აქვს, რომ ბასკების ახალი ნაციონალისტური პარტია, PNN, რომელმაც „ბატასუნა“ შეცვალა, არ წამოაყენებს რეფერენდუმის მოთხოვნას. მაგრამ თუ წამოაყენა? ჟურნალს არ ჰგონია, რომ აზნარს ამ შემთხვევისთვისაც რაიმე კონკრეტული რეაგირება აქვს დაგეგმილი.


ესპანეთის პრემიერი აზარი ბასკების პრობლემის გადაწყვეტას ეძებს.

საყურადღებოა, რომ, ჟურნალის ცნობით, იბარეთხეემ თავისი იდეა რეფერენდუმისა „ვერ მიჰყიდა ამ მხარის ბიზნესმენთა ასოციაციას, რომელნიც უაღრესად სკეპტიკოსნი არიან“ (მკითხველს შევახსენებთ, რომ ბასკეთი ესპანეთის ერთ-ერთი ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული ნაწილია). საყურადღებოა აგრეთვე, რომ დინჯი, უაღრესად ინფორმირებული და ღრმად ჩახედული ჟურნალი არ ახსენებს იმას, „ბასკური რეგიონი“ ბასკების ეთნიკური ტერიტორიაა თუ ისინიც, როგორც ალბანელები კოსოვოში, აქ მეტ-ნაკლებად შემთხვევით და ცოტა ხნის წინ მისულები არიან. ჟურნალს რომ ამ ფაქტორის რეალური ძალა არ ესმოდეს, შეუძლებელია. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი, დღეს აქტუალური (ანუ მოდური) პოლიტიკური „ამინდის“ პირობებში, საქმის ამ მხრისადმი ყურადღების მიქცევას ნაადრევად რაცხს.

# იენგ სარის ბედი

დღეს ბევრმა აღარ იცის, ვინ იყვნენ „წითელი ქხმერები“, რომელთა ოთხწლიანმა მმართველობამ (1975-79) პატარა კამბოჯაში 1,7 მილიონი ადამიანი გაწყვიტა. მათი ლიდერი პოლ პოტი მოკვდა ჯუნგლებში ქალვის დროს, მეორე პირი — იენგ სარი — არხეინად ცხოვრობს დედაქალაქ პნომპენში 12-ოთახიან სახლში და მას პატივს სცემენ. ბევრი ყოფილი „წითელი ქხმერი“ მშვიდი სამოქალაქო პირია, ბევრი არმიაშია, ბევრი ემიგრაციაშია. დღევანდელი მმართველი ჰუნ სენი ყოფილი ოფიცერია ამ რეჟიმისა. სასამართლო დევნის არდაწყებას ამ დამნაშავეთა მიმართ იგი იმით ამართლებს, რომ ამან შეიძლება ახალი სამოქალაქო ომი გამოიწვიოს. მეფეს ნოროდომ სიანუკს გამოცხადებული აქვს ტრიბუნალის შექმნის გეგმა, მაგრამ „სამართლის აღსრულების დრო“ ჯერ ვერ დადგა. ყოველივე ეს ბადებს კითხვას: ხომ არ იყო ხალხი ან მისი ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი იმ სისხლიანი რეჟიმის მომხრე?

# ფრანგულ-გერმანული ურთიერთობა — გადამწყვეტი ფაქტორი ევროპაში?

ჯერ კიდევ დღევანდელ გამწვავებამდე რამდენიმე კვირით ადრე — 8 თებერვლის ნომერში — ჟ. The Economist-მა გამოაქვეყნა გერმანულ-ფრანგული ალიანსის და მისი ფაქტორების საყურადღებო ანალიზი, რომელიც ევროპული პოლიტიკის ცენტრალურ საკითხებს ეხება. ამ ორი ქვეყნის მჭიდრო კავშირს, მისი აზრით, განაპირობებს არა მათი მსგავსებები, არამედ მათი განსხვავებულობა: გერმანია ევროპის წამყვანი ქვეყანაა ინდუსტრიით, საფრანგეთი — სოფლის მეურნეობით; გერმანია ძირითადად პროტესტანტულია, საფრანგეთი — კათოლიკური; გერმანიას უნდა ევროპული ფედერაცია, საფრანგეთი აქცენტს აკეთებს ინდივიდუალურ სახელმწიფოზე; გერმანია ევროპის დასავლეთსა და აღმოსავლეთს აერთიანებს თავის თავში, საფრანგეთი — ჩრდილოეთსა და სამხრეთს. ამიტომ, თუ ეს ორნი საერთო შეხედულებამდე მიდიან, ევროპის დანარჩენი ქვეყნები მშვიდად არიან, რომ მათ აზრს და ინტერესს გაითვალისწინებენ.



„ოღონდ, ჩემი სახელით არა“

ევროპელთა ფარულმა უკმაყოფილებამ იმით, რომ ეს ორნი თავს იდებენ ევროპის სახელით ლაპარაკს, იფეთქა მაშინ, როცა საფრანგეთი და გერმანია ერთობლივი აქტიურობით დაუპირისპირდნენ ამერიკულ პოზიციას, — და, მაშასადამე, ბრიტანულსაც — ერაყის საკითხში. რვა სახელმწიფომ (ბრიტანეთმა, იტალიამ, ესპანეთმა, პოლონეთმა, პორტუგალიამ, უნგრეთმა, დანიამ, ჩეხეთმა) ხელი მოაწერეს ამერიკულ-ინგლისური პოლიტიკის მხარდამჭერ წერილს. ფრანგებმა ამ ნაბიჯს მხოლოდ იმ ორი არგუმენტით უპასუხეს, რომ იმ რვა ქვეყანაში მოსახლეობის უმრავლესობა მხარს არ უჭერს ომს და რომ ევროკავშირში ახალი წევრების მიღების შემდეგ, როცა წევრთა რაოდენობა 25-ს მიაღწევს, ის რვანი ძალიან მცირე უმცირესობაში იქნებიან. უკვე მიღებულმა ახალმა წევრებმა, სახელდობრ, ბალტიისპირელებმა და ბალკანელებმა, თავის მხრივ, გამოაცხადეს ერაყის მიმართ ამერიკული პოლიტიკის მხარდაჭერა. ასე რომ, აზრთა მომხდარი გაყოფით ის შთაბეჭდილებაც ძალიან შესუსტდა, რომ ამერიკა იზოლაციაშია ერაყის საკითხში, და ისიც, რომ ფრანგულ-გერმანული წყვილი საერთო-ევროპულ პოზიციას გამოხატავს.

საფრანგეთი არ იყო მაინცდამაინც აღტაცებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიღებით ევროკავშირში, რადგან ეს, გერმანიის გაერთიანებასთან ერთად, გარდუვალად იწვევდა საფრანგეთის, როგორც ევროპული „კლუბის“ ლიდერის, პოზიციათა შესუსტებას. მხოლოდ საფრანგეთისა და გერმანიის დემონსტრაციულ ერთიანობას შეეძლო და შეუძლია იმის მიღწევა, რომ „დღის წესრიგის“ არაოფიციალური განმსაზღვრელები ევროპაში (იგულისხმება: კონტინენტურ ევროპაში) ეს ორი ქვეყანა დარჩეს. მაგრამ, ჟურნალის აზრით, ფრანგებმა „ვერ შეამჩნიეს“, როგორ აღიზიანებს დანარჩენ ევროპელებს ფრანგებისა და გერმანელების ეს მისწრაფება. რვა სახელმწიფოს იმ წერილის შესაქმნელადაც ერთ-ერთი ძირითადი მოტივი ეს გაღიზიანება იყო. ასე რომ ამ წერილის მნიშვნელობა შორს სცილდება ერაყის პრობლემის ფარგლებს. „ევროკავშირის ქვეყნებს, უბრალოდ, არ ჰსურთ ფრანგულ-გერმანული დირექტორია“.

ვინაიდან შროდერმა ერაყის ომი კიდევ უფრო მწვავედ დაგმო, ვიდრე შირაკმა, და ამით უკან დასახევი გზა მოიჭრა, საფრანგეთის უკან დახევის შემთხვევაში, — ანუ იმ შემთხვევაში თუ საფრანგეთი მხარს დაუჭერს გაეროს ახალი რეზოლუციის მიღებას ერაყის წინააღმდეგ (რაც მრავალს მიაჩნია შესაძლებლად), გერმანიას მართლაც ევროპელთა შორის ფრიად არასასიამოვნო იზოლაცია ელის. გერმანიის მცდელობა, რომ მოიპოვოს ხელმძღვანელი როლი ევროკავშირში, დაბრკოლებას წააწყდება.

მაგრამ ფრანგულ-გერმანული ამბიციის უკუგდების შემთხვევაში ევროკავშირს სხვა, ალტერნატიული ლიდერი (ლიდერთა ჯგუფი) არ ჰყავს. ის რვანი ამისთვის ვერ გამოდგებიან, მით უმეტეს, რომ, თუ ესპანეთსა და იტალიაში მემარცხენე-ცენტრისტული ხელისუფლება აღდგა, მათი პოზიცია გერმანია-საფრანგეთისას დაუახლოვდება. ასე რომ ახლო მომავალში ქვეყანათა დაჯგუფება მოხდება ხოლმე მათი პოზიციის მიხედვით კონკრეტული საკითხების მიმართ. პალმერსტონისა არ იყოს (XIX საუკუნის ინგლისელი პრემიერ-მინისტრის), იქნება მუდმივი ინტერესები, მაგრამ არ იქნებიან მუდმივი მეგობრები.

# განცხადება პრესისათვის

უკიდურესად ანტისახელმწიფოებრივ და პროვოკაციულ ქმედებად მიგვაჩნია დღევანდელი საქართველოს გადაქცევა მსოფლიო შეიარაღებული კონფლიქტის არენად და მაჰმადიანური ფუნდამენტალიზმის ან მისი სახელით განხორციელებული აგრესიის შესაძლო სამიზნედ. საქართველოს, რასაკვირველია, უნდა ჰქონდეს პროდასავლური კურსი (ოღონდ ნამდვილი და არა მოჩვენებითი), მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს ძალაუფლების შენარჩუნებისა და პირადი კეთილდღეობის მიზნით ვინმეს მიმართ მლიქვნელობას საკუთარი ქვეყნისა და მოსახლეობის უსაფრთხოების ხარჯზე. საქართველომ შესაძლებლობის ფარგლებში მხარი უნდა დაუჭიროს ანტიტერორისტულ კამპანიას, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან სუსტი ქვეყნისგან, რომელსაც არც საჰაერო თავდაცვის სისტემა აქვს და ამ ხელისუფლების წყალობით არც სხვა შესაძლებლობები (თუ არ ჩავთვლით თევზაძის ცნობილ „რაგატკას“) ამაზე მეტს არავინ მოითხოვს.

ირონიულია, რომ შევარდნაძე, რომელსაც ქართულ მიწაზე არძინბები და კოკოევები ჰყავს გაპარპაშებული, სადამ ჰუსეინს ემუქრებოდეს და მსოფლიოში წესრიგის დამყარებაზე ზრუნავდეს! სინამდვილეში იგი ამ შემთხვევაშიც, საქართველოს ინტერესების ხარჯზე, ორმაგ თამაშს ეწევა: ერთის მხრივ ამერიკის წინაშე მლიქვნელობს და მას ხელისუფლებაში თავისი ყოფნის საჭიროებას უმტკიცებს, მეორეს მხრივ კი უპირატესად აქაც რუსეთის საქმეს აკეთებს, როდესაც საქართველოსკენ მანიაკალური ფსიქიკის მქონე სხვადასხვა საშიში იარაღით აღჭურვილი ავანტიურისტის სადამ ჰუსეინის ყურადღებას მომართავს. ასეთი ქმედებით აბსოლუტურად დაუცველი საქართველო თუ რეალურად არ იქცევა ჰუსეინის და მის თანამოძმეთა სხვადასხვა ტიპის (სარაკეტო, ბაქტერიოლოგიური, ტერორისტული და სხვა) შეტევების მსხვერპლად, რაც თავისთავად შესაძლებელია, ყოველ შემთხვევაში რუსეთს მათი სახელით სხვადასხვა ქმედებების განხორციელების ძალზე ხელსაყრელი საშუალება ეძლევა.

სამწუხაროდ, დღევანდელი პოლიტიკური სპექტრის უპასუხისმგებლობა მხოლოდ შევარდნაძით არ შემოიფარგლება. არა ერთი ქართველი პოლიტიკოსი მხარს უჭერს ერაყთან ომში საქართველოს ბაზების გამოყენების შესახებ შევარდნაძის განცხადებას. სამწუხაროდ, მათი ეს დემონსტრაციული პროამერიკულობა არც საქართველოს სახელმწიფო ინტერესებითაა ნაკარნახევი და არც ამერიკისა და ტრადიციული ამერიკული ღირებულებებისადმი გულწრფელი სიყვარულით, არამედ თავის მოწონების მოტივით იმ ქვეყნის წინაშე, რომელსაც განიხილავენ როგორც ძალაუფლებისა და ფინანსების მოპოვების წყაროს.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ქართველ პოლიტიკოსებზე გაცილებით მეტი პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდება დღევანდელი საქართველოს მდგომარეობას და არ დაუშვებს საქართველოს მოსახლეობის საფრთხეში მოქცევას.

**ილია ჭავჭავაძის საზოგადოება**
**სახალხო ფრონტი**
**ეროვნულ-რადიკალური პარტია**

# ვ. ნ. შონია
# ბოროტების სათავე, ანუ როგორ შეთითხნეს „მეგრელთა საქმე“

**დასასრული. დასაწყისი „საქართველო“ №8-16, 2002, №1, 2, 3, 4 2003 წ.**

1938 წელს, როცა ბერია გადავიდა სამუშაოდ მოსკოვში, ბიძაშვილიც თან წაიყვანა და იქ სწავლა გააგრძელებინა. ივანე ერთხანს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში მუშაობდა, შემდეგ მას ვხედავთ კრემლში. ბერია მას დიდ და საიდუმლო სახელმწიფოებრივ საქმეებს ანდობდა.

ივანემ ოჯახი შექმნა, ცოლად შეირთო ეროვნებით რუსი ქალიშვილი გალინა ივანეს ასული ანენკოვა. გალინა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა საფოსტო განყოფილების გამგედ, ისინი გორკის ქუჩაზე ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდნენ.

1946 წელს ივანე ჩამოვიდა ჯგალში და მოინახულა თავისი გამზრდელები — ბასა და მისი მეუღლე. სოლომონი ჯარში იყო. ივანეს ძალზე მოეწონა სოლომონის ბავშვები. მორიდებულს უთხრა: „მომეცით ეს ბავშვები და მე გავზრდი, მოსკოვში წავიყვან, ვასწავლიო“. ბასამ ამაზე უარი უთხრა იმ მოტივით, რომ მათი მამა სოლომონი ჯარში იმყოფებოდა. ვინ იცის, იქნებ ცოცხალი იყო და მისი ავ-კარგის გაურკვევლად ამ საკითხს ვერ გადაწყვეტდა. წავიდა ივანე. იმ დღიდან სოლომონის ოჯახს დიდ დახმარებას უწევდა.

1948 წელს ომგადახდილი სოლომონი დაბრუნდა. იგი ოთხი წელი ტყვედ იყო გერმანიაში. სოლომონმა რომ გაიგო ივანეს გადაწყვეტილება, უარი ვერ უთხრა. ამასობაში უფროსმა დამ თამარმა კინაღამ თავი მოიკლა, სადაც ჩემი ძმებია, მეც იქ უნდა ვიყოო. ასე და ამგვარად, სოლომონის სამი შვილი ივანემ მოსკოვში წაიყვანა.

სოლომონის ოჯახმა მძიმედ განიცადა სამი შვილის ოჯახიდან განშორება და შორს გადახვეწა. თანდათან ყველაფერს შეეჩვივნენ. მაშინ რა იცოდნენ უბედურმა მშობლებმა, თუ რა განსაცდელს უმზადებდა მათ ბედი.

ბავშვებმა კარგად აითვისეს რუსული ენა და სწავლაშიც წარჩინებულნი იყვნენ. უფროს ვაჟს — ვინარის მხატვრობის ნიჭი აღმოაჩნდა, უმცროსმა ელვარდიმ ჟურნალისტიკა აირჩია, თამარი კავშირგაბმულობის საქმეს დაეუფლა და მუშაობა დაიწყო ბიცოლასთან საფოსტო განყოფილებაში.

1953 წლის ივნისში ბერია გაანადგურეს. აირია ყველაფერი. ივანე მაშინათვე დააპატიმრეს და გადაასახლეს ოთხი წლით. საბოლოოდ მას ვერავითარი დანაშაული ვერ დაუმტკიცეს და გაანთავისუფლეს, მაგრამ ჯანმრთელობა ციხეში დატოვა.

ივანეს დაპატიმრების შემდეგ, ვინარი და ელვარდი ერთხანს „შიგა ციხეში“ ჰყავდათ. აი, სწორედ აქ ჯალათებმა (როგორც მას ივანე ადასტურებს) საჭმელთან ერთად გამოტეხვის მიზნით მისცეს წამალი, რომელმაც ბიჭებს გონება აურია და ფსიქიური დაავადება განუვითარა. თამარს გალინა ივანეს ასულის დახმარებით მოსკოვში მისცეს ერთოთახიანი ბინა. მუშაობდა თავისი სპეციალობით. 1977 წლის 23 ნოემბერს კი, როცა სამუშაოდან მოდიოდა, გზაზე „უცნობმა პირმა“, რკინის ნაჭრის თავში ჩარტყმით მოკლა. დედამისი დარდს გადაჰყვა. დიდი იყო გალინასა და დაუძლურებული ივანეს მწუხარება.

1985 წელს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ივანე კვარაცხელია გარდაიცვალა. 1988 წელს გალინა ივანეს ასულიც წავიდა ამ ქვეყნიდან. ამ დროისათვის კიდევ ცოცხლები იყვნენ სულით ავადმყოფი ძმები, ვინარი და ელვარდი, ისინი იმყოფებოდნენ უმცროს ძმასთან, ჯემალ სოლომონის ძე კვარაცხელიასთან, ჯგალში. ისინი ამ ნარკვევის ავტორმა და ბატონმა ილია პარქაიამ ერთად მოვინახულეთ 1989 წლის გაზაფხულზე. ადგილზე ვიხილეთ ორი ძმა, სულით ავადმყოფი. ეს მეტად მძიმე სანახავი იყო.





### ბოლოსიტყვაობა

„მეგრელთა საქმის“ გარშემო მსჯელობისას სხვაზე მეტი რელიეფურობით თავისდაუნებურად გამოიკვეთა ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი საინტერესო პოლიტიკური პერსონაჟის — ბერიას ფსიქოლოგიური პორტრეტი.

მაინც, ვინ იყო იგი? პოლიტიკური ავანტიურისტი, თუ იდეის სამსახურს შეწირული რეფორმატორი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ალბათ, მომავალი თაობებიც დაეჭვდებიან, რამეთუ ბერია არ გახლდათ იოლად ამოსაცნობი, სწორხაზოვანი პიროვნება. იგი უნდა აღვიქვათ, როგორც საოცრად რთული, პარადოქსული, წინააღმდეგობრივი ეპოქის ერთ-ერთი არქიტექტორი. ტრაგიკული ისტორიული კატაკლიზმების ძლევამოსილი შემოქმედი და ბოლოს თავად მსხვერპლი უპრეცედენტო ტოტალიტარული რეჟიმისა.

ბერიას პიროვნებას ამ ნარკვევში იმდენად ვეხებით, რამდენადაც მისი სახელი ფიგურირებს „მეგრელთა საქმეში“. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ის გამოკვეთილი ეროვნული პიროვნება იყო, ბევრი რამ გააკეთა საქართველოს სიკეთისათვისაც.

ამას წინათ გამოცემულ ბროშურაში „მკვლელობა ბერიას კაბინეტში“, ავტორი ალექსანდრე სიგუა გადმოგვცემს, რომ მისი ინიციატივით იმ დროს „ზაკფედერაციის“* მოედანზე დაინგრა უცხოთა მიერ აშენებული ქარვასლის უზარმაზარი შენობა. ამ შენობის დანგრევისათვის მას „ნაციონალისტობა“ დასწამეს და პოლიტბიუროში სტალინთან უჩივლეს. მისივე ინიციატივით თბილისის ქუჩებიდან და მოედნებიდან სხვა ბევრი, უცხოთა პარპაშის სახსოვარი ნაგებობა გაქრა.

ბერიამ საქართველოდან კატეგორიულად დაითხოვა მოსკოვის მიერ დანიშნული პარტიის ცეკას რუსი მეორე მდივნები და სხვა დიდი თანამდებობის პირები. საქართველოს ხელყოფის ყოველგვარ ცდას მაშინვე ალკვეთდა ხოლმე: ...„ასე ალიკვეთა თბილისში ერთი საწარმოს საქმიანობა, რომელიც ხალიჩებს ამზადებდა და გამოშვებულ ნაწარმზე აკეთებდა წარწერას: „თბილისი და მისი მიდამოები გორამდე, ქართველებისა არ არისო“. ეს ხალიჩები ასეთი წარწერით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იგზავნებოდა.

თურმე ბერიას მოუყოლია, თუ როგორ დაითანხმა სომხეთის ცეკას მდივანი, თბილისიდან რაც შეიძლება მეტი სომხები წაეყვანა თავის რესპუბლიკაში და „ველიკაია არმენია“ შეექმნა. მოგვარებული და გადაწყვეტილი საქმე სტალინმა ჩამოიშალაო, ნება არ მომცა მისი განხორციელებისა. სომხეთის განათლების კომისარმა სტეფანიანმა აბდულ ჰადიმი მიწოდაო — უთქვამს თურმე გულდაწყვეტილს.

როგორც ცნობილია, ბერიამ თავის კაბინეტში მოკლა უცხოტომის წარმომადგენელი, რომელმაც გაუბედა და უთხრა: — „თქვენი დედაქალაქი ქუთაისი იყოს, ხოლო თბილისი საერთო კუთვნილებად ითვლებოდესო“.

ბერიას მოწადინებით გამოვიდა ქართულ ენაზე 1951 წელს თბილისის ტელეფონების საააბონენტო წიგნი, ადრე იგი მხოლოდ რუსულ ენაზე იბეჭდებოდა. მანვე დაავალა საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს, რომ საწარმოო-დაწესებულებების და ორგანიზაციების სახელწოდებები ქართულ ენაზე ეთარგმნათ.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, 1938 წელს, როცა ბერია მოსკოვში გადაიყვანეს, ქვეყანაში შეწყდა ტერორი, უამრავი საქმე შეჩერდა ძიებით. პატიმართა ბანაკებში შერბილდა რეჟიმი. იმავე წელს მან მოახერხა პატიმრობიდან გათავისუფლებულიყო ხუთასამდე სამხედრო მოსამსახურე, რომელთაგან ზოგი შემდეგ მარშალი გახდა. ომის დაწყებისთანავე, 1941 წლის ივლისში მისი ინიციატივით პატიმრობიდან გათავისუფლდა ნახევარ მილიონზე მეტი კაცი. სტალინის სიკვდილის შემდეგ 1953 წლის მარტში ბერიას დაყენებული მოთხოვნით გატარდა ამნისტია, რის შედეგადაც პატიმრობიდან გაათავისუფლეს მილიონზე მეტი პატიმარი. ეს უკანასკნელი მას ერთ-ერთ ბრალდებად წაუყენეს.

1953 წლის ივნისში ბერიამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს მიალებინა შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) დაევალოს პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს, რესპუბლიკაში ბოლო მოეღოს ეროვნული პოლიტიკის დამახინჯებებს;

ბ) დაჩქარდეს ადგილობრივი ეროვნული კადრების მომზადებისა და ხელმძღვანელ სამუშაოებზე მოწყობის ორგანიზაცია, შეიცვალოს სხვა ეროვნების კადრების თანამდებობებზე დანიშვნის პრაქტიკა, ხოლო ნომენკლატურული მუშაკები, რომლებმაც არ იციან ადგილობრივი ხალხის ენა, გამოხმობილი იქნან პარტიის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში.

გ) საქმის წარმოება ნაციონალურ რესპუბლიკებში გადავიდეს მშობლიურ ენაზე.

მან რესპუბლიკაში გააუქმებინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად რუსი ეროვნების პირების დანიშვნის პრაქტიკა.

ბერია თავგამოდებით იცავდა და უფრთხილდებოდა ეროვნულ საუნჯეს, ისტორიულ ძეგლებს. ამაზე მაგალითები მოჰყავს ბატონ ალექსანდრე სიგუას ახლახან გამოცემულ ბროშურაში — „მკვლელობა ბერიას კაბინეტში“ (გამომცემლობა „მოლოდინი“, 1992 წ., თბილისი).

საინტერესოა ბერიას დამოკიდებულება აფხაზეთისადმი. იგი ამბობდა: „აფხაზეთი ქართული მიწაა, იქ აფხაზები უმცირესობას წარმოადგენენ ქართველებთან შედარებით და აი, ეს უმცირესობა უმრავლესობას ეწინააღმდეგება... ისინი, ვინც ქართველებს ებრძვიან, აფხაზები კი არ არიან, არამედ შემდგომში ჩამოსახლებული თათრები — აფსუები არიან“. გაზეთ „შვიდ დღეში“ ამ რამდენიმე ხნის წინათ დაიბეჭდა ინტერვიუ ლავრენტი ბერიას მეუღლესთან — ნინო გეგეჭკორთან. ინტერვიუში ეს მრავალჭირნანახი მანდილოსანი ამბობს: ...„მე ცოცხალი არ ვიქნები, მაგრამ თქვენ, ჭაბუკები ყველაფერს გაიგებთ, თუ რა საზოგადო მოღვაწე იყო ბერია“.

თუ ის, რაშიც ბერიას ბრალს სდებდნენ, მართალია, მაშინ იგი ისტორიის წინაშე პირნათელი მოღვაწე გამოდის. ამის დასტურად გამოდგება ამავე ნარკვევში მოყვანილი სტატია ბატონი აკაკი ბაქრაძის „საიდუმლო გამჟღავნებულია“.

ჩვენი მიზანი ამ ნარკვევზე მუშაობისას იყო მკითხველისათვის გვეჩვენებინა, თუ რა უბედურებისა და უზნეობისაკენ მივყავართ კუთხურობას და საქართველოს მთლიანობის ხელყოფის ყოველგვარ ცდას.

პირადად მე შემხვედრია თბილისელი მანდილოსანი, რომელმაც გაოგნებულმა მკითხა: „როგორ, მეგრელებიც ქართველები არიან?“ დიდხანს ვარწმუნებდი მას, რომ სამეგრელო საქართველოს განუყოფელი ნაწილია, რომ მეგრელი კაცი ისეთივე ქართველია, როგორც კახელი, იმერელი, გურული და სხვა. მკითხველს მინდა მოვუყვე ბატონი ილიკო სუხიშვილის მონათხრობი, რამაც მაშინ ყველანი აგვაღელვა.

1965 წლის შემოდგომაზე, ზუგდიდის თეატრში მიმდინარეობდა ი. სუხიშვილის და ნ. რამიშვილის ქორეოგრაფიული ანსამბლის გასტროლები. ბატონმა ილიკომ შესვენებისას დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო შემდეგი საინტერესო ამბავი: ...„შარშან ჩვენი ანსამბლი საგასტროლოდ თურქეთს გაემგზავრა. წინა წელს, როცა ვიყავით თურქეთში, ქართველებმა გვთხოვეს, მათთვის ჩაგვეტანა „დედა ენის“ სახელმძღვანელო. მე სამი ათასი ცალი „დედა ენა“ ვიყიდე. შევაფუთინე და სხვა ბარგთან ერთად წავიღეთ. საზღვარზე წესისამებრ დაიწყეს გასინჯვა. აქ ჩვენ, რა თქმა უნდა, ერთიმეორეში ქართულად ვლაპარაკობდით. ჩვენს საუბარს, როგორც ეტყობა, ყური მოკრა „ტამოჟნის“ უფროსმა. იგი აღელვებული მოვარდა და გვითხრა: „კაცო, ჩვენებური ხართ?“ როგორც კი გაიგო, რომ ქართველები ვიყავით, მაშინვე გასცა განკარგულება, ჩვენი ბარგი გაუსინჯავად გაეტარებინათ. აი, ასე გავიდა სამი ათასი „დედა ენა“ თურქეთში. იცით, მეგობრებო, რა დიდი ჯილდო იყო ეს იქაური ქართველებისათვის? მე მას ენით ვერ გამოვხატავ. თურქეთში, განსაკუთრებით, ტრაპიზონსა და ართვინში ლაზებს წამყვანი ადგილები უკავიათ. მთელი ჩვენი ანსამბლი მიგვიწვია ერთმა მილიონერმა ლაზმა, დაგვაბინავა ზღვის პირას ზღაპრული სილამაზის ბუნებაში ჩაფლულ მრავალსართულიან სასტუმროში. იქ დავყავით ორი კვირა. ამ ხნის განმავლობაში რაღაც განუზომელი ყურადღებით და სიყვარულით ვიყავით გარემოცული. ბინისა და საჭმლის ყველა ხარჯი თავად აანაზღაურა. წამოსვლისას ბანკეტი გაგვიმართა და ყველას სამახსოვრო საჩუქრები გადმოგვცა.

ერთ-ერთი კონცერტის დროს, შესვენებისას, თურქეთის პრეზიდენტი შევდეთ ცუნაი მოვიდა ჩვენთან, გაგვესაუბრა და გვითხრა: „მე ქართველებთან ნათესაობა მაკავშირებს, დედაჩემი ლაზია, იგი ახალგაზრდობაში ლამაზი ყოფილა. საერთოდ ლაზები არ მიყვებიან თურქებს, მაგრამ მამაჩემს დედა მოუტაცნია. ასე და ამგვარად მე ნახევრად ლაზი ე. ი. ქართველი გახლავართო“.

შემდეგ იგი ლაზურად გაესაუბრა ჩვენი ანსამბლის წევრ მეგრელ ბიჭებს. ამაღელვებელი იყო ამის მოსმენა. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ყველა ლაზი თავს ქართველად თვლის. ზოგიერთი ქართველი კი მეგრელს ქართველად არ თვლის, ჩვენის აზრით, ამაში გარკვეულწილად ბრალი მიუძღვის სკოლასაც. რატომ არ შეიძლება დაწყებით ჯგუფებში ვასწავლოთ საქართველოს მხარეები და მისი მოსახლეობა? ეს საკითხი კარგად იყო გადაწყვეტილი რევოლუციამდელ სკოლაში. მაგალითად, იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“, რომელიც განკუთვნილი იყო მესამე ჯგუფის მოსწავლეთათვის, აღწერილია ყველა კუთხე: კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო და სხვა. იქვე ნათქვამია: აღნიშნულ კუთხეებში ცხოვრობენ: კახელები, იმერლები, მეგრელები, გურულები და ა. შ. ამასთან დაბეჭდილია ჩამოთვლილ რეგიონებში მცხოვრებ გლეხთა, აზნაურთა და თავადთა ტიპიური წარმომადგენლების სურათები. ახლანდელ სახელმძღვანელოებში ასეთ რამეს ვერ ნახავთ.

რასაკვირველია, მეგრელთა ქართველობის ეჭვის ქვეშ დაყენების საშიში და ავისმომასწავებელი ტენდენცია დღეს არ გაჩენილა. იგი შორიდან მოდის. ასეთ განწყობილებას შეგნებულად ნერგავდნენ იმპერიის რეაქციული ძალები და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ თვით დიდი ილიას და ერის სხვა რჩეულ შვილთა ენერგიული ჩარევაც კი გახდა საჭირო ამ ანტიქართული „კონცეფციის“ სამხილებლად და გასაფანტავად. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ერის სულიერი მთლიანობის დამრღვევი ავი ბაცილის მთესველთა ნაშიერნი დღემდე ცოცხლობენ. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს „სოვესტკაია კულტურას“ 1989 წლის 9 ივლისის ნომერში დაბეჭდილი ე. ზეიმალის სტატია, სადაც იგი უტიფრად აცხადებს, რომ „მეგრელები და სვანები ქართველები არ არიანო“.

ყველანი უნდა დავეთანხმოთ გაზეთ „სახალხო განათლების“ 1989 წლის 12 ივლისის ნომერში ბატონ გერმანე ფაცაციას სტატიაში „უზნეობის ზეიმი ანუ მეგრელთა საქმე“ გამოთქმულ აზრს: ...„ეს წერილი ერთადერთი მიზნის გამო დაიწერა: გონდაკარგულნი გონს მოვსულიყავით და ყველა ქართველს ერთობაში მოგვენიშნა კაენის ჩასაფრების ადგილი“.

მოეწონება თუ არა მკითხველს ჩვენი ნარკვევი? ეს მათი საქმეა. დე, თვითონ გამოიტანონ პირუთვნელი მსჯავრი. ჩვენის მხრივ, თუკი ერთი პატარა აგურის დადება შევძელით იმ რთული, მრავალსახა შენობის საძირკველში, რომელსაც ჭეშმარიტი პროფესიონალი მკვლევარების მიერ „მეგრელთა საქმის“ გარშემო შექმნილი პოლიტიკური პორტრეტი დაერქმევა, თავს ვალმოხდილად ჩავთვლით.

---

* შემდეგ ერევნის მოედანი, კიდევ შემდეგ ბერიას მოედანი, მერე ლენინის მოედანი და თავისუფლების მოედანი.

## როგორ შეგვათრიეს «ესენგეში»?!

# საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №1,2,3,4. 2003 წ.

შესვენების შემდეგ.

**სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვ. გოგუაძე.**

**თავმჯდომარე.** ახლა, მე რა მინდა, გითხრათ, კამათში უმრავლესობიდანაც ბევრია და უმცირესობიდანაც. შევთანხმდეთ ერთ რაღაცაზე. თითო ფრაქციიდან იყოს თითო წარმომადგენელი...

**თ. [illegible]იძე.** ფრაქციიდან არ შეიძლება...

**თავმჯდომარე.** მოიცათ, ყველა აკრძალვა როგორ მოდის ამ დემოკრატიის მაძიებლებიდან. ეს რეგლამენტშიც არის და ყველგან არის (თ. ჩხეიძე მიკროფონის გარეშე ყვირის). დაბრძანდით, ბატონო გურამ, ადგილზე (ხმა დარბაზიდან: რეგლამენტით ორჯერ აქვს დეპუტატს გამოსვლის უფლება). მე ყველას ჩაგწერთ, მაგრამ როდის მოგიწევთ, ეს არ ვიცი. ჩვენი თხოვნა არის პარლამენტის მიმართ, ერთი ფრაქციიდან ახლა 10 კაცი რომ გამოვა, მაშინ რა გავაკეთოთ, როგორ შეიძლება... მე გთხოვთ... დაბრანდით. დაბრძანდით. ჩაწერე, სუყველა ჩაწერე. მაგრამ იცოდეთ, უმრავლესობა თხოულობს გამოსვლას და არ ჩავწეროთ? რეგლამენტი უნდა დავიცვათ, 10 წუთამდე არის. თუ ნაკლებს იტყვის კაცი, უკეთესია. შეკითხვები წერილობით. ვეცადოთ– ყველასთვის საჭირო არის პარლამენტი გადავარჩინოთ ჩვენ, დავშოშმინდეთ და ვიმუშაოთ ერთად.

**გ. ხავთასი.** ბატონო ვახტანგ, უპირველეს ყოვლისა, მე მინდა ჩემი გამოსვლა დავიწყო იმით, რომ... ე. ი. ჩვენი პარლამენტის წევრებს საკმარისი ყურადღება მივაპყროთ. მოხდა ასეთი სამწუხარო ფაქტი, ჩვენი პარლამენტის წევრს ბატონ ალექსანდრე ბერიძეს გარდაეცვალა მეუღლე და წუთიერი დუმილით, ფეხზე ადგომით პატივი ვცეთ მის ხსოვნას (ყველანი ფეხზე დგებიან). დღეს არის გასვენება და თუკი ვინმეს საშუალება ექნება და მივა, კარგი იქნება, მე მგონი.

ბატონებო და ქალბატონებო, მე მინდა ჩემი გამოსვლა დავიწყო იმით, რომ ამ რამდენიმე წლის წინ, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში აგორდა ეროვნული მოძრაობის დიდი ტალღა, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა სუყველაფერს და მაშინ, ალბათ, მე არ ვიცი, როგორ მოხდა, დაუთმეს მაშინდელ უზენაეს საბჭოს მაშინდელმა კომუნისტებმა, თუ ეს „კაგებეში" იყო დაგეგმილი, თუ სხვაგან იყო, მაგრამ ეროვნული მოძრაობის ერთი ფრთა მოვიდა სახელმწიფოს სათავეში. სანამ ის ფრთა მოვიდოდა სახელმწიფოს სათავეში, იყო საბჭოთა უზენაესი საბჭო, რომელშიც იყო ბატონი ნოდარ ნათაძე წევრად და იმ უზენაესმა საბჭომ მიიღო ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. ახლა ჩვენი დღევანდელი საკითხი ეხება ამ გადაწყვეტილებებს, ჩემი აზრით, ძირითადად, ესენი იყო ანექსიის საკითხი 1921 წლის 25 თებერვალს, რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რომელიც მან დაარღვია და ა. შ. და ა. შ. აი, ეს საკითხები მაშინ, როგორც ჯერ იყო, ისე შეფასდა და ისეთი შეფასება მისცა, როგორიც ქართველი ერის ინტერესებისათვის იყო საჭირო, თვით კომუნისტურმა უზენაესმა საბჭომაც კი. ამის შემდეგ ხელისუფლების სათავეში 28 ოქტომბერს მრავალპარტიული არჩევნების შედეგად მოსულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი და 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით 9 აპრილს მიიღო დადგენილება, დამოუკიდებლობის აქტი გამოაცხადა, ხელი იქნა მოწერილი და საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცების გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა. ამის შემდეგ, როგორც მოგეხსენებათ, მოხდა სამხედრო გადატრიალება იყო, თუ ნახევრად სახალხო აჯანყება, ვინ რას ეძახის და ვინ რას, ამას ისტორია შეაფასებს, მოხდა ცნობილი მოვლენები დეკემბერ-იანვრისა და შემდეგ მოვიდა ახალი წყება ხელისუფლებისა, სამხედრო ძალით ყოველ შემთხვევაში. საქართველოს მოსახლეობა იმედის თვალით უყურებდა ამ ხელისუფლებას, რომ ის გააგრძელებდა საქართველოს სუვერენიტეტის გაძლიერებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის გზის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს და კიდევ უფრო მეტ ნაბიჯს გადადგამდა. მაგრამ, სამწუხაროდ, რაც ჩამოგდებულ იქნა ის ხელისუფლება და მოვიდა შემდეგი ხელისუფლება, ჯერ სახელმწიფო საბჭოს, შემდეგ ჩვენი პარლამენტის სახით, სამწუხაროდ, ვაცლით და ვაცლით თანდათან ამ ჩვენს დამოუკიდებლობას დამოუკიდებლობის ყოველგვარ ნიშანწყალს. მოგეხსენებათ, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება საქართველოს პარლამენტის არჩევის დღიდან აყენებდა საკითხს რუსეთის ჯარებისათვის საოკუპაციო სტატუსის მინიჭების შესახებ. ბატონ ვახტანგ გოგუაძის მიერ არაერთგზის კანონის დარღვევით, ეს საკითხი კენჭისყრაზეც კი არ იქნა დაყენებული. დღეს აქ ბევრი იყო ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ არის თუ არა კანონი ჩვენს პარლამენტში დაცული. რა კანონის დაცვაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ყოველდღიურად ხდება ყოველგვარი კანონის დარღვევა და აი ასეთ საკითხებთან დაკავშირებით კენჭისყრაზეც კი არ გამოდიოდა. თურმე იმიტომ არ გამოდიოდა, რომ „სნგ"-ში შესვლა, საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვა და ათასი ზრახვები ედოთ გულში და როგორ გამოიტანდნენ ამ საკითხს კენჭისყრაზე. მაშინ საქართველოს მოსახლეობა მზად არ იყო ამ საკითხის ასე გადაწყვეტისათვის. დღეს უკვე შემზადებულია, დღეს ყველამ ჩამოიხსნა ნიღაბი და ყველა უკვე გამოდის და ამბობს თავის სათქმელს ღიად. უკვე არავის არ ეშინია თავის მიერ ჩადენილი საქმისა, ბოროტი იქნება ის თუ კეთილი, ამას არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. ნიღაბი ჩამოხსნილია, არავითარ კანონის დაცვაზე ლაპარაკიც კი არ არის. სწორედ ამაზე მინდა ვისაუბრო. წელიწადნახევრის განმავლობაში მრავალი წინადადება იქნა ჩვენი საზოგადოების მიერ დაყენებული, ასევე სხვა პარტიების მიერ, ერთხელ მივილეთ კიდეც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან რუსეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის საკითხი და მე მახსოვს მაშინ, ბატონო ედუარდ, თქვენ, ახლა როგორც ჩანს, სასაცილო არგუმენტი მოიყვანეთ — ბომბორადან რომ რუსის ჯარი გავიყვანოთ, ჯოხარ დუდაევი თბილისს დაბომბავსო. ჰოდა, რაც მოგვიტანა ბომბორადან რუსის ჯარების არგაყვანამ, თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ. ამის შემდეგ და ამასთან ერთად მინდა აღვნიშნო, რომ ეს ყველაფერი უკავშირდება აფხაზეთს, რომ აფხაზეთის ომი წაგებულია, რომ აფხაზეთის ტერიტორია უნდა შევინარჩუნოთ, და აი, ჩვენ ახლა თუ „სნგ"-ში არ შევალთ, თითქოს და ტერიტორიას ვერ დავიბრუნებთ და ა. შ. 4 თუ 5 თვეა „სნგ"-ში ვართ, რატიფიცირებული არ არის, მოლდავეთს დღესაც არ გაუკეთებია რატიფიცირება და მოლდავეთის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ სანამ ახალი პარლამენტი არ იქნება არჩეული, მანამდე რატიფიკაციას ვერ გააკეთებენ „სნგ"-ში. ხან რძითა და კარაქით დატვირთულ გემებს გვპირდებოდნენ და ხან რას და აფხაზეთში უნდა შესულიყვნენ ხან როდის და ხან როდის. ისევ საქართველოს მოსახლეობის მოტყუების შედეგად — დაბრუნება ამ მოსახლეობისა და ამ მოსახლეობის სიკვდილი და დახოცვა იქ, აფხაზებმა რომ გაიმეორეს ელცინის ჩამოსვლის შემდეგ, ისევ ჩვენს კისერზეა და უპირველეს ყოვლისა იმ ხალხის კისერზეა, ვინც ამ გადაწყვეტილებას უჭერს მხარს. მე მინდა შეგახსენოთ სამაჩაბლოს საკითხი. სამაჩაბლო არ იყო წაგებული, განსხვავებით სოხუმისგან. ნახევარი ცხინვალი კონტროლდებოდა ქართული ფორმირებების მიერ, ადგილობრივი მოსახლეობისა და გვარდიის ნაწილების მიერ და მიუხედავად ამისა, ბატონო ედუარდ, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი საშიშროება არ ემუქრებოდა იქ და იქ და შესაძლებლობა იყო ცხინვალის აღების, შესაძლებლობა იყო პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებისა, თქვენს მიერ მიღებული იქნა ორჯონიკიძეში გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც 15 კმ-ნი ზოლი გამოცხადდა. ამის შემდეგ გამოყვანილი იქნა ეს ჯარები იქიდან და შემდეგ რაც მოჰყვა ამას, კარგად მოგეხსენებათ. 14 აგვისტოს დაიწყო ომი აფხაზეთში. 14 ავისტოს გორის პროზექტურაში 7 ახალგაზრდა ჩამოასვენეს, სამშვიდობო ძალების მიერ გულამოჭრილები მოიყვანეს. აი, რა მოჰყვა სამშვიდობო ძალების შემოყვანას. ომი მოგებული იყო, მაგრამ ახლა ტერიტორია დაკარგულია. არცერთი ქართული ოჯახი არ ჩასახლებულა იქა. ასე, რომ მე არ მესმის... ამას გარდა იყო პოზიცია, ბატონო ედუარდ, თქვენ წარსდექით ამომრჩევლების წინაშე ერთი საარჩევნო პლატფორმით, რომლის მიხედვითაც თქვენ არ აპირებდით „სნგ"-ში შესვლას. მოსახლეობამ თქვენ დაგიჭირათ მხარი. ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ადამიანი, რომელიც უხვევს თავის საარჩევნო პოზიციას, უნდა გადადგეს თანამდებობიდან. ნებისმიერ ქვეყანაში ასე ხდება. კაცი, რომელიც ამბობს, რომ არ არის მომხრე „სნგ"-ში შესვლისა და შემდეგ ამ პლატფორმით მოდის, ამ პლატფორმის მიხედვით აძლევენ მას ხმას, ამის შემდეგ იცვლის პოზიციას, პატიოსანი პოლიტიკოსი უნდა გადადგეს თანამდებობიდან. სამწუხაროდ, ჩვენში ეს დონეც არ არის დღეს. რა გადადგომაზე არის ლაპარაკი, როცა დღეს არის სახეზე ხელისუფლების უზურპაცია, რაზეც ლაპარაკობდნენ დღეს „რესპუბლიკელები" და სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლები. ამის შესახებ დიდი ხანია არის ლაპარაკი, იგივე მონარქისტული პარტიის მიერ და ფაქტიურად იმიტომ, რომ ის ხალხი, ვინც ინიშნება თანამდებობაზე, არის თქვენი მომხრე, არის თქვენი მხარდამჭერი, ამიტომ ხდება თქვენს მიერ ხელისუფლების უზურპაცია. იქ გარკვევით წერია, რომ როგორც კი დაინიშნება თანამდებობაზე, ის უკვე გადამდგარი არის პარლამენტის წევრობიდან, ის უკვე გასულია პარლამენტიდან. განმარტებები და ა. შ. კანონს არ სჭირდება. იქ ყველაფერი განმარტებულია და ამის შესახებ სახელმწიფო საბჭოზეც იყო საუბარი, როგორც მე მაქვს გაგებული. აი, აქ ყველაფერი ნათლად უნდა ყოფილიყო. მაგრამ დღეს სახეზე არის იგივე ტენდენციები, რაზეც თავიდან დავიწყე საუბარი. ფაქტიურად– (ხმა დარბაზიდან). დიახ, დიახ „სნგ"-სთან დაკავშირებით, რომ საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა, ფაქტიურად ის, რაც ჰქონდა უკრაინას და ბელორუსიას, მიიღო, გაეროში გაწევრიანება არის ეს და დანარჩენი, ფაქტიურად, სუყველაფერი შემოგვეცალა. ახლა იმ უზენაეს საბჭოს ხან რას ეძახიან და ხან რას, მაგრამ იმ უზენაესმა საბჭომ მიიღო დამოუკიდებლობის აქტი და ეს უზენაესი საბჭო ლებულობს „სნგ"-ში შესვლის დოკუმენტს, რატიფიცირებას უკეთებს დღეს. მე არ ვიცი ეს გავა, არ გავა... მე არ ვიცი, გავიდა დრო?

**რ. ბერიძე.** ერთი წუთი დაგრჩა.

**თავმჯდომარე.** ერთი წუთი დარჩა.

**გ. ხავთასი.** კი ბატონო, მე ერთი წუთი მეყოფა (ხმა დარბაზიდან: სამი წუთი დაგრჩა). მე თქვენ რეპლიკებს არ გესვრით და... (კამათი დარბაზში).

**თავმჯდომარე.** დაამთავრეთ.

**გ. ხავთასი.** სამწუხაროა, რომ დღეს არის პირველი მარტი, სულ 4 დღე არის გასული 25 თებერვლიდან და მე მახსენდება 1921 წლის 25 თებერვლის ფაქტები და მე არ მიმაჩნია ეს შემთხვევით ამბად, რომ ისევ 25 თებერვალთან ახლო-მახლო ხდება რატიფიცირება, აი, ამ ხელშეკრულებისა. დაბრუნდა ისევ ის დრო, ყველაფერი ისევ ისე ხდება, საქართველომ, ფაქტიურად, დაკარგა თავისი სუვერენიტეტი, მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება, მხოლოდ ერთადერთი განსხვავება არის ის, რომ მაშინ თუ ვერ შეძლო საქართველოს მთავრობის საშუალებით მოწვევის მიღება რუსეთის ჯარმა, დღეს უკვე საქართველოს ხელისუფლების, საქართველოს პარლამენტის საშუალებით ახერხებს ამას, სამწუხარო აი, ეს არის და მე მინდა ისევ ვთქვა, რომ თქვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რაც არ უნდა მიიღოთ, თქვენი შვილებისათვის და, აი, ამ ახალგაზრდა თაობისათვის, რომელიც დღეს გარეთ არის, უკანონო იქნება. იმიტომ, რომ დეპუტატები, რომლებსაც უფლება არა აქვთ იყვნენ პარლამენტში და უკანონოდ ზიან აქა, კანონიერ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ, ანი რა გადაწყვეტილებაც გინდა მიიღოთ, ის ყოველნაირად უკანონოა და თქვენს შვილებს ყოველთვის ექნებათ საშუალება, ეს უკანონო გადაწყვეტილება შეცვალონ. გმადლობთ.

**თავმჯდომარე.** ბატონი ჯაბა იოსელიანი, შემდეგ გამოვა ბატონი ივლიანე ხაინდრავა (ხმა დარბაზიდან). ქალბატონი თამარ, გავერთხილებას გაძლევთ წამოძახილისათვის, მერე თუ გნებავთ, სიტყვით გამოდით.

**ჯ. იოსელიანი.** ბატონებო, მე თავს არ შეგაწყენთ. უბრალოდ ერთი რამ მინდა ვთქვა. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, უკვე ეს 2 წელიწადია მიდის ამაზე დავა, გვინდა ჩვენ ეს „სნგ" თუ არ გვინდა, რა გვინდა, იქ გვინდა, ეს ყველამ კარგად იცის, ყველას პოზიცია ნათელია, მაგრამ ერთი რამეა, რომ თუ რამე ალტერნატივა აქვს, თორემ მე აქ მარტო კრიტიკის მეტს ვერაფერს ვხედავ. ამას მე ერთი წლის წინათაც ვამბობდი, რომ შევიკრიბოთ და ისიც მახსოვს, რომ ვთქვი, ეგრისის კრებასავით ჩავატაროთ და ვის რა პოზიციები აქვს, ვთქვათ. მაგრამ აქ ერთი მდგომარეობაა, ეგრისის კრებაზე იყო კონკრეტული ალტერნატივა — ან ირანი, ან ბიზანტია. იყო ძალები ერთი მხრიდანაც, მეორე მხრიდანაც და იყო რაღაც გარკვეულ საგანზე ლაპარაკი. აქ არ არის ეს საგანი, არ არსებობს. ანეკდოტი რომ გავიხსენოთ, თქვენ არ გიყვართ ჩემი ანეკდოტები, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა ეს, დეპუტატისა და გოჭის არ იყოს, კომუნისტების დროს რომ იყო, გინდა იყიდე გინდა არაო, მეტი არ არის. აი, მე ვფიქრობ ასეთი ვარიანტია აქ. თუ აქვს ვინმეს ალტერნატივა, კონკრეტული, ზოგადი და ლოზუნგური კი არა, აი, ასე და ისე... დასავლეთთან, არამედ კონკრეტული. ჩვენ ორი წლის განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ ვხედავდით, როგორ მიდიოდა ჩვენი ცხოვრება, როგორ დაიწყო ყველაფერი ესა და არავითარი გამოხმაურება არ პოვა ამან, გარდა ლოზუნგებისა და კაი ტკბილი ლაპარაკისა. ნუ, ზოგს მიაჩნია, რომ შეგნებულად კეთდებოდა. ეს ისეთი აბსურდია, რომ... მე ვიცი, როგორ მიიღო ბატონმა ედუარდმა ეს გადაწყვეტილება. მე მოწმე ვიყავი და მე უნდა ვთქვა, რომ მე თუ რამეში ვადანაშაულებ ბატონ ედუარდს, ვადანაშაულებ იმაში, რომ აი ამ პოპულისტურ ტალღას იყო აყოლილი. რომ არ ყოფილიყო პოპულისტურ ტალღას აყოლილი, ეს არ იქნებოდა, ჩვენ ასეთ დღეში არ ჩავვარდებოდით და იმ ოპოზიციონერებს, რომლებსაც დღეს ისევ იმ ტალღაზე უნდათ რომ გადაიყვანონ ქვეყანა, უკვე დანგრევისაკენ მიიყვანეს, დანგრეულია უკვე იმიტომ, რომ მე არ გამიგია, არ ვიცი, როგორ შეიძლება ის მოხდეს, რომ... ჩვენთან ყველაფერი თავდაყირაა, როგორ შეიძლება, სად გაგიგიათ, გეკითხებით მე თქვენ. ახლა აქ ლაპარაკი იყო... მაგალითად, თავდაცვის და უშიშროების კომისიის თავმჯდომარე ოპოზიციონერი იყოს, სად გაგიგიათ ეს. აქედან დავიწყოთ ყველაფერი (ხმა დარბაზიდან). არსად არ არის ასე, საგიჟეთში არის მარტო (ხმაური). მე მინდა გითხრათ, ეს იმიტომ კი არ მომაქვს, ასეთი მილიონი მაგალითია და ეს სწორედ იმის ბრალია, რომ ჩვენ ანგარიშს ვუწევთ იმას, რისი გაწევაც არ არის საჭირო. არ უნდა გავუწიოთ ანგარიში. ოპოზიციონერი უნდა იყოს ოპოზიციონერი... ან ციხეში უნდა იჯდეს, ან მშიერი უნდა იყოს ან გაბრაზებული უნდა იყოს, აი ასეა. ასე... (ხმაური დარბაზში).

**თავმჯდომარე.** მოითმინეთ (ტაში).

**ჯ. იოსელიანი.** აბა, ოპოზიციონერიც იყო, მანქანაშიც იჯდე, კომისიის თავმჯდომარეც იყო, აგრე არ არის.

(ხმაური დარბაზში).

**თავმჯდომარე.** ბატონო დეპუტატებო...

**ჯ. იოსელიანი.** მეგობრებო, მე დღეს მოხსენება უნდა გამეკეთებინა და ამიტომ ვსარგებლობ, ცოტას მეც ვილაპარაკებ, თანაც მივდივარ. ახლა რა მინდა ვთქვა...

**ლ. შაკიაშვილი.** ციხეში.

**თავმჯდომარე.** ქალბატონო ლუიზა.

**ჯ. იოსელიანი.** ციხეში როდის მერე...

**თავმჯდომარე.** ერთი წუთით, ბატონო ჯაბა.

**ჯ. იოსელიანი.** ახლა არ უნდა ესა...

**თავმჯდომარე.** ვინც ადგილიდან უმიკროფონოდ, უწესოდ ლაპარაკობს და ისვრის რეპლიკებს...

**ჯ. იოსელიანი.** მე მარტო ერთი რამე მიკვირს. ჯინაობა სახელმწიფოს... საქართველოს პატრიოტები ვართ სუყველა და ჯინაობაა აქ, ჯინაობა, მეტს ვერაფერს ვერ ვხედავ მე. აი, მოდი, ჩვენ გავიტანოთ, არა ის გამოვიტანოთ, ასე არ არის. დაფიქრდით, ხალხო, რას აკეთებთ და რა მდგომარეობაშია ჩვენი ხალხი და ვისი ბრალია ეს ყველაფერი. არ იქნებოდა აფხაზეთი დაკარგული, რომ ჩვენ არ ავყოლოდით იმ პოპულისტებს (ხმაური დარბაზში).

**თავმჯდომარე.** მოიცათ, კაცო.

*გაგრძელება იქნება*





მთავარი რედაქტორი
მანანა
ლობჟანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი. თავისუფლების
მოედანი. პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის
რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე
პასუხს ავტორი აგებს.